

# სამართლის



იმისთანა წმინდა საცემში,  
ბეჭდით ბეჭდუდი სიფყვას,  
ცყილებით და ჭებობით ბუძის  
გაცანა ყულა უჯადისდბაჭ  
უსამაგლესია.



დაარსებულია  
1918 წელს.



ოთხშაბათი, 3 აპრილი, 2013 წელი.

№61 (7188)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ბრალი ედება ბანსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებში

სააკაშვილმა ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომია“ აღადგინა და მას ახალგორი მიუერთა, კოდორის ხეობის მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო, ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი სვანები განაიარაღა და აფხაზეთს ზემო კოდორი მიუერთა.



4

ბანათლებსა და  
მეცნიერების სფეროს  
უმძიმესი კრიზისი  
ქვეყნისთვის  
გამოუსწორებელ  
უბედურებად  
არ უნდა იქცეს! 2


პრეზიდენტის  
ადმინისტრაციამ  
პრემიუმზე  
წელიწადში  
ნახევარ მილიონ  
ლარზე მეტი დახარჯა 6

8 გვჭირდება  
სამართალი?


7 ფიჭურმა  
კომპანიებმა  
გადასახადი  
აბონენტებს  
გადააწერეს

3 „რუსული წვრთნები  
შავ ზღვაში  
სამართალს მიმართ  
აბრესიული გზავნილი“

3 „ეროვნული ფრონტი“  
გმობს ძალდატანებას  
მეჩეთის მუნიციპალიტეტის ბაგო



5 „დედა, თუ  
სადილი გაქვს,  
უაფითზე“



მიმართვა

# განათლებისა და მეცნიერების სფეროს უმძიმესი კრიზისი ქვეყნისთვის გამოუსწორებელ უბედურებად არ უნდა იქცეს!

საპარტვილო პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს, საპარტვილო პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ დავით უსუფაშვილს, საპარტვილო პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ივანე კილუაშვილს, საპარტვილო განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს

ბატონებო,  
დარწმუნებული ვართ, საქართველოს ახალი ხელი-სუფლებსათვის ამოსავალია პოზიცია, რომ მეცნიერება და მეცნიერული აზროვნება არის ცივილიზებული სამყაროს არსებობის საფუძველი, მისი კონსტრუქციული-კრეატიული ფუნქციონირების განმსაზღვრელი და რომ ცივილიზებულ ქვეყნებთან რამდენადმე მაინც პარმონიული, კონკრეტულ-ტანადიანი თანაარსებობა შეუძლებელია მეცნიერების განუვითარებლად; ანუ, სხვა სიტყვებით, ოცდამეერთე საუკუნეში ვერავითარი ძალისხმევა ვერ დააბრუნებს საქართველოს ბედის ბორბალს წაღმა, თუკი ჩვენში აზროვნების კულტურა და შემოქმედებითი საქმიანობის უნარი სათანადო სიმაღლეზე არ ავიდა, რაც განათლებისა და მეცნიერების აღორძინების გარეშე გამოიხატება.

საყოველთაოდ ცნობილია ქვეყანაში მეცნიერების მდგომარეობის მახასიათებელი ზოგადი პარამეტრები. ესენია: ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის რა პროცენტი ხმარდება ყოველწლიურად მეცნიერებისა და ინოვაციების დაფინანსებას; როგორია მეცნიერთა რაოდენობა ყოველ ათას მოსახლურზე; რამდენად გაართობილია ახალგაზრდობის მოდინების პროცესი მეცნიერებაში. ამ სამივე მაჩვენებლის მიხედვით ჩვენთან ძალზე მძიმე მდგომარეობაა. მაგალითისათვის: თუკი ცივილიზებულ ქვეყნებში მეცნიერებაზე და ინოვაციებზე ყოველწლიურად დახარჯული თანხა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-დან 3%-მდე მერყობს, ჩვენთან 0.15%-საც კი არ შეადგენს. ცხადია, ეს მაჩვენებელი ერთ-ორ წელიწადში ვერ გახდება ცივილიზებული ქვეყნების დარი; მაგრამ თუკი ახალ ხელისუფლებას მეცნიერების შესახებ სტრატეგია გამოუმუშავებული აქვს, პირველ რიგში უნდა დასახოს გეგმა, თუ როგორი ტემპებით გაიზრდება ეს მაჩვენებელი. ის, რომ მეცნიერებაზე ყოველწლიური დანახარჯი ქვეყნის შიდა პროდუქტის 0.15%-ზე ნაკლები რჩება, ჯერჯერობით შეუძლებელს ხდის მეცნიერებისადმი სახელმწიფოს რაიმე დამოკიდებულებას უსაუბრს. ამ მხრივ კითხვებს აჩენს ისიც, რომ უფრადმენტური კვლევების სამეცნიერო ინსტიტუტებში დასაქმებული უმაღლესი რანგის მეცნიერების ხელფასი მინიმუმ ორჯერ ნაკლებია ნებისმიერი არაკვალიფიციური მომსახურის ხელმძღვანელს კიდევ უფრო დიდი პარადოქსიც მოხდა: უნივერსიტეტებთან მიერთებული სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერების ხელფასები კიდევ უფრო შეუმცირდათ. ცხადია, რომ ამ პროცესებში უნივერსიტეტების ხელმძღვანელობის როლი გადამწყვეტია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს განუკითხობია ახალი ხელისუფლების პირობებშიც ძველებურად გრძელდება. გვირგვინი ყველაზე აკაცნობიეროს, რომ მეცნიერების განუვითარებლად ოცდამეერთე საუკუნეში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ფუნქციონირება დღესაც უფლები და, შესაბამისად, მისი მოქალაქეების ბედი - სავალალო იქნება.

განათლება და მეცნიერება განუყოფელია და, ცხადია, ორივე მათგანი ერთობლივ ზრუნვას მოითხოვს.

„ქართული აკადემიის“ მონაწილეობით დაწერილი წინამართვა ხელისუფლებისადმი მიძღვნილი იყო იმ ბარბაროსული ქმედებების გასააზრებლად, რომელთა ასპარეზიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. ამიტომაც წინამდებარე წერილში ძირითად ყურადღებას ჩვენში მეცნიერების, კერძოდ, ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო ინსტიტუტების საგანგებო და გადაუდებელ პრობლემებს დაეფიქსირებო (თუმცა, ჯავახიშვილისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებს ვერც აქ ავუვლით გვერდს).

დღეს, შეიძლება ითქვას, ვიმყოფებით საქართველოში სამეცნიერო სისტემის რეორმირების საწყის ფაზაში, რამდენადაც საერთო შეთანხმება მიღებულია: ცნობილი ქართველი მეცნიერის გია დვალის ხელმძღვანელობით



შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელიც ღიად მოიწონა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილმა. შემოთავაზებული კონცეფციის ძირითადი პრინციპები ასევე მოიწონა ფართო საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებამ. ასეთი ერთსულოვნება უადრესად მნიშვნელოვანი მომენტი და ჩვენი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოება იმის მოლოდინშია, რომ მას სწრაფად მოყვება რეალური ქმედებები, რომ ხელისუფლება გამოიჩინოს შესაბამის პოლიტიკურ ნებას და პროფესიონალებს მიეცემა შესაძლებლობა, შეუდგნენ სამეცნიერო სისტემის აღდგენას.

ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმ სამართლებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს, რომლებიც მსოფლიად დატოვა ნაციონალთა ხელისუფლებამ (და რომელიც ჯერაც ქმნის სერიოზულ პრობლემებს), მაგრამ თუკი დეკლარირებული გეგმები განათლებისა და მეცნიერების სფეროში გვერდზე გადაიდო, გვერწმუნეთ, საქართველო უმოკლესად დადგება. ამდენად, უმოჩილესად გთხოვთ, განუსაზღვროთ განათლებისა და მეცნიერებას შესაფერისი ადგილი ქვეყნის სტრატეგიულ ფასეულობათა სისტემაში და დაუყოვნებლივ დაიწყეთ რეალური მოქმედება საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემების „გასაჯანსაღებლად“. ეს პროცესი, ცხა-

დია, მარტივი არ არის და მისი განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, აქტიურ მონაწილეთა ენერჯით არის შესაძლებელი. ასევე აუცილებელია იმის გათავისება, რომ მნიშვნელოვანი სამეცნიერო კერები - სახელმწიფო უნივერსიტეტები - არსებითად ძველი უზურპაციის პირობებში იმყოფება. ამდენად, სამეცნიერო რეფორმამ უცილობლად უნდა გაათავისუფლოს სახელმწიფო უნივერსიტეტები უზურპაციისაგან, რასაც ყველა სხვა სფეროში სამართლიანობის აღდგენასა და კანონიერების დამყარებას ვუნდობთ.

რეალობა მიიწევა, მაგრამ სასწორზეა შეგდებული საქართველოს მომავლის განმსაზღვრელი ფაქტორები - განათლება და მეცნიერება - და, ამდენად, საზოგადოება მოუთმენლად ელის საქართველოს ახალი ხელისუფლების აქტიურ მოქმედებას. იმის დაშვებაც არ გვინდა, რომ საქართველოს ხელისუფლების წინაშე მდგარი უამრავი პრობლემა ჩვენს საუნივერსიტეტო და სამეცნიერო სისტემებში არსებული პრობლემების გადაწყვეტას უკანა პლანზე გადასწევს, მეორეხარისხოვან ადგილს მიაკუთვნებს...

ნაციონალთა ხელისუფლების დამანგრეველ მოქმედებას განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში ქართული საზოგადოება თავიდანვე - 2004 წლიდანვე - აქტიურად შეწინააღმდეგა. ამ საზოგადოების ნაწილმა 2007 წელს დააარსა „ქართული აკადემია“. სწორედ „ქართული აკადემიის“ დეკლარაციის მეშვეობით მუსხლი ამბობს: „ქართული საზოგადოება წინ უნდა აღუდგეს მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო, სალიტერატურო და სახელოვნებო კერების მოშლას, უნივერსიტეტების ავტონომიის ფესქვეშ გათევასა და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი საგანმანათლებლო სისტემის დაწერვას, რომელიც არ იძლევა ფუნდამენტური განათლების მიღებისა და კვალიფიციური დარგობრივი სპეციალისტების მომზადების საშუალებას... ჩვენ არ უნდა დავუშვათ ქართველი ერის გადაქცევა მხოლოდ მომსახურების სფეროში დასაქმებულ, იაფფასიანი უცხოური საქონლის მომზადებელ მასად, რომელსაც არ შესწევს ინტელექტუალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნის უნარი. ეს ჩვენი ისტორიის დასასრული იქნება“.

ამ წლების განმავლობაში „ქართული აკადემია“ მტკიცედ იცავდა დეკლარაციაში გაცხადებულ პრინციპებს და მთელი თავისი შესაძლებლობებით იყო ჩაბმული იმ დემოკრატიულ პროცესებში, რომელსაც 2011 წელს ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგა სათავეს და რომელმაც შედეგად 1 ოქტომბრის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვება მოიტანა. მეცნიერებისა და განათლების აღორძინების იმედი ქართველმა საზოგადოებამ სწორედ ამ პოლიტიკურ ძალას დაუკავშირა. მით უფრო, „ქართული აკადემია“ ვერ შეეგუება იმ აზრს, რომ ნაციონალების მმართველობის შედეგად შექმნილი უმძიმესი კრიზისი განათლებისა და მეცნიერების სფეროში ქვეყნისათვის გამოუსწორებელ უბედურებაში გადაიზარდოს; ამიტომაც დაჯერებით მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტი მოქმედებებისაკენ და, თავის მხრივ, სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, მთელი აკადემიური საზოგადოების ძალისხმევა მიმართოს განათლებისა და მეცნიერების ქვეყნის რეფორმის განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში.

„ქართული აკადემია“  
2 აპრილი 2013 წელი.

გზადავა

## ქართული სამხედრო ტექნიკა გამოცდას გადის

ძარბაზის სამხედრო მრეწველობის პროექტები, რომელიც ირაკლი ალასანიას თავდაცვის უწყებაში დახვდა, გამოცდას გადის. როგორც ყურნალისტებთან შეხვედრის დროს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, მიმდინარეობს გამოცდა, რამდენად ადეკვატურად დაეხმარება ეს ტექნიკა ქართველ სამხედროებს და რამდენად დაეხმარება იქნებიან სამხედრო ოპერაციების განხორციელების დროს.

მიმდინარეობს მათი ჯავშნის გამოცდა. უახლოეს პერიოდში დაიგეგმება ძალიან სერიოზული, საცდელე გამოცდა ამ ჯავშანტრანსპორტიორებზე. ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, რენტაბელურობიდან და იმ თანხებიდან გამომდინარე, რასაც ეს ტექნიკა ითხოვს, გავაგრძელებთ ამ პროგრამას თუ არა. რა თქმა უნდა, იყო პიარის და სულისკანაფობის ელემენტი, როდესაც ეს ტექნიკა გამოამზადეს ნაადრევად, ვიდრე გამოცდები იქნებოდა ჩატარებული. ახლა გრძელდება



მუშაობა, რათა დაზუსტდეს, დაკონკრეტდეს, რამდენად შესაძლებელია ეს ტექნიკა სერიულ წარმოებას გადაეცეს, - განაცხადა ალასანიამ.

## პროტესტი

### მაია რჩეულიშვილის დაპატიმრებას ითხოვენ

„ცენტროპონტის“ დაზარალებულთა კომპანიის დამფუძნებლების, მათ შორის მაია რჩეულიშვილის დაპატიმრებას ითხოვენ. კომპანიის ოფისთან „ცენტროპონტის“ დაზარალებულთა აქცია გაიმართა. ისინი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ და საკუთარ მოთხოვნებს ასახელებენ. დაზარალებულების ერთ-ერთი მოთხოვნაა „ცენტროპონტის“ დამფუძნებლების დაპატიმრება, მათი ქონებისა და ფულადი სახსრების დაყადაღება შემდგომი რეალიზების მიზნით. ისინი ასევე ითხოვენ „ცენტროპონტის“ მენეჯერთა მიმართ სისხლის სამართლის დევნის დაწყებას და მათი ქონებისა და ფულადი სახსრების დაყადაღებას. კიდევ ერთი მოთხოვნაა, „დექუსის“ საქმიანობის შესწავლა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. დაზარალებულები „დექუსის“ ერთ-ერთი დირექტორ ივანე ცაგურიას დაუყოვნებლივ დაპატიმრებას მოითხოვენ. გამორიცხული არ არის, რომ „ცენტროპონტის“ დაზარალებულებმა შიმშილობა დაიწყონ პროკურატურასთან.

## მაია რჩეულიშვილის დაპატიმრებას ითხოვენ

„ცენტროპონტის“ დაზარალებულთა კომპანიის დამფუძნებლების, მათ შორის მაია რჩეულიშვილის დაპატიმრებას ითხოვენ. კომპანიის ოფისთან „ცენტროპონტის“ დაზარალებულთა აქცია გაიმართა. ისინი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ და საკუთარ მოთხოვნებს ასახელებენ. დაზარალებულების ერთ-ერთი მოთხოვნაა „ცენტროპონტის“ დამფუძნებლების დაპატიმრება, მათი ქონებისა და ფულადი სახსრების დაყადაღება შემდგომი რეალიზების მიზნით. ისინი ასევე ითხოვენ „ცენტროპონტის“ მენეჯერთა მიმართ სისხლის სამართლის დევნის დაწყებას და მათი ქონებისა და ფულადი სახსრების დაყადაღებას. კიდევ ერთი მოთხოვნაა, „დექუსის“ საქმიანობის შესწავლა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. დაზარალებულები „დექუსის“ ერთ-ერთი დირექტორ ივანე ცაგურიას დაუყოვნებლივ დაპატიმრებას მოითხოვენ. გამორიცხული არ არის, რომ „ცენტროპონტის“ დაზარალებულებმა შიმშილობა დაიწყონ პროკურატურასთან.



# „პრევენციული მიღობა“

ოფიციალური თბილისი შავი ზღვაში რუსეთის მიერ წვრთნების მოულოდნელად დაწყებასთან დაკავშირებით ღრმა შემოწმებას გამოთქვამს. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, აღნიშნული წვრთნები არის უჩვეულო, დაუბეზრებელი და სამხედრო შენაერთების განლაგების ჩვეულ ადგილს ცვლება.

საგარეო უწყების განცხადების თანახმად, რუსეთის ოფიციალური წყაროები იტყობინება, რომ წვრთნებში მონაწილეობს დაახლოებით 7000 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, საავიაციო და საზღვაო შენაერთებიდან და ჩართულია 30-ზე მეტი სამხედრო სომალდი. წვრთნები საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრების სიახლოვეს ტარდება. რუსეთის ხელი-სუფლების წარმომადგენლებს ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ წვრთნების ჩატარების ხანგრძლივობის და სამხედრო ნაწილების დისლოკაციის უზუსტი ადგილმდებარეობის თაობაზე.

„აღნიშნული წვრთნები არის უჩვეულო, დაუბეზრებელი და ცვლება სამხედრო შენაერთების განლაგების ჩვეულ ადგილს, რომელიც შესაბამისობაშია „ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ“ ვენის 2011 წლის დოკუმენტთან. ამასთან, მასშტაბურობიდან გამომდინარე, წვრთნები ვერ მიიჩნევა მოსალოდნელ საფრთხეზე პროპორციულ რეაგირებად. რუსეთის ქმედება ევროპის სამეზობლოში სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის დაცვის ინტერესებს ეწინააღმდეგება. საქართველო შემოთავაზებულია რუსული სამხედრო შენაერთების მოულოდნელი და პროვოკაციული ქმედებით, ისევე, როგორც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, აფხაზეთში/საქართველო და ცხინვალის რეგიონში/საქართველო რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების შეიარაღების და/ან პერსონალის გამოყენების პოტენციური საფრთხით. ცალმხრივად განხორციელებული სამხედრო ქმედებები საქართველოს განსაკუთრებულ შემოთავაზებს იწვევს იმ ფონზე, რომ რუსეთი კვლავაც უარს აცხადებს, უბასუხოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წელს ცალმხრივად ნაკისრ ვალდებულებას ძალის არ-გამოყენების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 7 მარტს ერთსულოვნად მიღებული დეკლარაციით დაადასტურა“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება უზრუნველყოს და გაართვალი მნიშვნელოვანი ნაბიჯები სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის მიზნით, რომელიც სა-



## „რუსული წვრთნები შავ ზღვაში საქართველოს მიმართ აბრუსიული გზავნილია“

ერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმებით იქნება გამყარებული.

შეგახსენებთ, რუსული წვრთნების შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა. კერძოდ, 28 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა გააკეთა მოულოდნელი განცხადება შავ ზღვაში სამხედრო წვრთნების დაწყების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 28 მარტს დილას, მოსკოვის დროით 4 საათზე მისცა შესაბამისი დავალება თავდაცვის მინისტრს. პუტინის პრესსამსახურის ინფორმაციით, მოსკოვი არ არის ვალდებული, ამის შესახებ მეზობელ ქვეყნებს შეატყობინოს. მათი განმარტებით, მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა წვრთნებში 7000-ზე ნაკლები ადამიანი მონაწილეობს, არ არის სავალდებულო მეზობელი ქვეყნების წინასწარ ინფორმირება. 28 მარტს გაკეთებული განცხადების თანახმად, სამხედრო წვრთნებში ჩართული იქნებოდა სამხედრო-საზღვაო ძალების 36 სომალდი სევესტოპოლიდან და ნოვოროსიისკიდან, ხოლო წვრთნის მიზანია „მზადყოფნისა და კოორდინირებული მოქმედების“ შემოწმება.

რუსულ წვრთნებთან დაკავშირებით შეფასება გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა. მისი თქმით, ეს წვრთნები საქართველოში ქართულ-ამერიკული წვრთნების გამოცხადების საპასუხო ნაბიჯია. სესიაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთის ეს ქმედება განპირობებულია არა საქართველოსგან საფრთხის წარმოქმნის შიშით, არამედ დასავლეთზე ზემოქმედ-

ების მოხდენისთვის და იმის სათქმელად, რომ საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შემთხვევაში მათ ყოველთვის ექნებათ რეაქცია. დეპუტატი საზუსტეს იმ გარემოებას, რომ როგორც კი საქართველოში სამხედრო სფეროში რაიმე თანამშრომლობა შედგება რუსეთი ყოველთვის შემოთავაზებს გამოსატყვევებს.

„ამ შემთხვევაშიც ესაა პოლიტიკური განაცხადი და პრევენციული მიდგომა, რათა ამით გარკვეულწილად დაფრთხნენ ის სახელმწიფოები, რომლებსაც საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა სურთ. ვფიქრობ, რომ ეს დაკავშირებულია სწორედ საქართველოში ქართულ-ამერიკულ წვრთნებთან, მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ უნარჩვევების გაუმჯობესების მიზანი აქვს“, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

ექსპერტი სამხედრო საკითხებში თეონა აქუბარდია მიიჩნევს, რომ წვრთნები, რომელთა გამართვას პუტინმა დილის 4 საათზე მოაწერა ხელი, საქართველოსთვის შემოთავაზების საგანს წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ არანაირი შეთანხმება ამასთან დაკავშირებით შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან არ ყოფილა და წვრთნების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ამ ბრძანებას მოეწერა ხელი.

„რაც შეეხება ქართულ-ამერიკულ წვრთნებს, რუსეთმა ამ საკითხთან დაკავშირებით პროტესტი დააფიქსირა და განაცხადა, რომ მათთვის ეს მიუღებელია, თუმცა, არ მგონია, რომ რუსული წვრთნები ამასთან დაკავშირებით იცოს გამოცხადებული. წვრთნა ჩვეულებრივად ყოველთვის ხდება ნებისმიერ ქვეყანაში,

მათ შორის რუსეთში“, – აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, რუსული წვრთნები არა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მიმდინარეობს და, რაც მთავარია, ამ წვრთნებში არ მონაწილეობენ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ოკუპირებული რეგიონებიდან. ამიტომ, მართალია, თავად ეს წვრთნები არასასიამოვნო ფაქტია და მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი საერთაშორისო ნორმებს კიდევ ერთხელ არღვევს, მაგრამ ეს ფაქტი საქართველოს რაიმე საფრთხეს არ უქმნის.

ექსპერტი საგარეო ურთიერთობის საკითხებში ელენე ხოშტარია აცხადებს, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან მწარე გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა დატვირთვა აქვს ასეთ წვრთნებს. ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ წვრთნები უბრალოდ ტექნიკური პროცესი არ არის, არამედ არის რუსეთის სამხედრო პოლიტიკის დემონსტრირება. ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამ წვრთნებში საოკუპაციო ძალები არ მონაწილეობენ, ეს წვრთნები არის რუსეთის აგრესიული გზავნილი რეგიონის და მათ შორის, საქართველოს მიმართ.

„ამას კიდევ უფრო ამწვავებს ამ წვრთნების სისწრაფე და დაუბეზრებლობა. სამხედრო სფეროს ექსპერტი არ ვარ და ამიტომ ვერ გეტყვით, წვრთნების სტრუქტურა როგორია, მაგრამ როგორც ვიცი, ისიც საკმაოდ შემაშფოთებელია. თავისთავად, ეს ფორმა და ადგილი, სადაც მათ ეს გააკეთეს, არის ნეგატიური გზავნილი საქართველოს მიმართ“, – ამბობს ელენე ხოშტარია.

მისი თქმით, ეს მხოლოდ საქართველოს მიმართ გზავნილიც არ არის, ეს არის გზავნილი თურქეთის, კვიპროსის, ასევე ევროკავშირისა და, ზოგადად, დასავლეთის მიმართ, რომ „ეს არის ჩვენი ტერიტორია, სადაც გვაქვს ჩვენი შენედეულებები, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში“.

ამიტომ ელენე ხოშტარია მიესალმება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან გამოსატყვევებელი პოზიციის და ხაზს უსვამს, რომ ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც საქართველო რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს.

„როდესაც ურთიერთობის მოწესრიგებას ცდილობ, რა თქმა უნდა, არის მოლოდინი, რომ შეიძლება რაღაც გრანდიოზული არ მოხდეს და ტერიტორიები არ დაგიბრუნებინ, მაგრამ უნდა იყოს განცედა, რომ რუსეთის მხრიდან თუნდაც რაღაც წვრილმან საკითხებთან დაკავშირებით დამოკიდებულებები იცვლება, რათა ჩავთვალოთ, რომ ჩვენი პოლიტიკა შეიძლება იყოს წარმატებული“, – აღნიშნავს ექსპერტი.

ამიტომ მისი თქმით, როდესაც პასუხად იღებ წვრთნებს შავ ზღვაში, უკვე დასაფიქრებელია, საერთოდ, რამდენად შესაძლებელია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება.

ენო ულანტი

### © მიმართვა

## „პროკონული ფრონტი“ გეოგრაფიკულ კლდეტანებას მხრით მუშაობის გამო

გაუზიან ძარბოვად პატრიოტთა არასამთავრობო ორგანიზაცია „პროკონული ფრონტი“ თურქეთის საილქოს წინ გაბართა პრიფინი მიდიისთვის, სადაც წაიკითხეს სავიციალური მიმართვა თურქეთის ელჩისადმი. მიმართვაში დაგმობილია თურქეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ხელი-სუფლებზე წარმოებული ზეწოლა ბათუმში მეჩეთის მშენებლობისა და მესხეთელი თურქების საქართველოში შემოსახლება და დაკავშირებით. „ეროვნული ფრონტი“ ასევე გმობს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ დავით-ოღლუს მიერ საქართველოში ამასნიანდელი ვიზიტის დროს გაკეთებულ განცხადებას და მოწოდებას იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფომ თურქულ სავაჭრო გემებს მოუხსნას აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში შესვლის შეზღუდვა. მსგავს განცხადებას ჩვენ განვიხილავთ სეპარატისტული აფხაზეთის მხარდაჭერად.

ამავე დროს, „ეროვნული ფრონტი“ კიდევ ერთხელ შეახსენებს თურქეთის ელჩს, რომ თურქეთი ვალდებულია ანექსირებული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული-რელიგიური ძეგლები აღადგინოს ყოველგვარი წი-

ნაპირობისა და „გაცვლის“ გარეშე, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ იუნესკოს კონვენციის თანახმად.

შესაბამისად, თუ თურქეთის სახელმწიფო არ შეწყვეტს ზეწოლას საქართველოს სახელმწიფოზე ყველა ზემოაღნიშნული საკითხების გამო, „ეროვნული ფრონტი“ იტოვებს უფლებას დაიწყოს საზოგადოებრივი კამპანია საქართველოსა და მის ფარგლებს თურქული პროდუქციისა და სერვისების, ზოგადად, ბიზნესის ბოიკოტირების მიზნით.

ამ ფაქტს ემატება კიდევ ერთი არასასიამოვნო მოვლენა – 23 აპრილს თურქეთში დაგეგმილ საერთაშორისო საბავშვო ფესტივალზე აფხაზეთის სახელმწიფოს სტატუსითაა მიწვეული. საქინფორმის ინფორმაციით, ქვეყნების ჩამონათვალში, რომელიც ამ ფესტივალის ვებ-გვერდზეა მოთავსებული, აფხაზეთი თავისი დროშით ცალკეა მითითებული, საქართველო კი – ცალკე.

თურქეთში ფესტივალი ყოველ წელს ტარდება. შარშან იმავე ფესტივალზე აჭარა ცალკე სახელმწიფოდ იყო წარმოდგენილი. სტამბოლის ქართული კულტურის სახლისა და საქართველოს სსსის საერთაშორისო კავშირ „ნათლის მხედრის“ საპრო-

ტესტო წერილის შემდეგ, რომელიც საქინფორმმა გაავრცელა თავის საიტზე, ორგანიზატორებმა ბოდიში მოიხადეს, ხოლო მცირე ხანში ფესტივალის ორგანიზატორი თანამდებობიდან მოხსნეს. მაგრამ ამ ფაქტს მაშინ ოფიციალური სტრუქტურების რეაგირება არ მოჰყოლია.

ფესტივალი საკმაოდ მასშტაბურია და წლეულს, ორგანიზატორთა ინფორმაციით, მასში 50 ქვეყანა მონაწილეობს.

თვალის ერთი შეველებითაც ცხადია, რომ არცთუ სახარბიელო ვითარებაა შექმნილი. რჩება შთაბეჭდილება (და ეს ქართულ მედიაში უკვე გახშირდა), რომ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის მიღმა სხვა ინტერესები იკვეთება, ამგვარ ვითარებაში კი საქართველოს ხელისუფლების ცალკეულმა წევრებმა ღირსეული პოზიცია უნდა დაიკავონ, და არა მამებლური პოლიტიკა – მერე რა, რომ ქართულ სულიერებას გარკვეული საფრთხეები ელოდება თუნდაც მეჩეთის საკითხის გამო... ასევე მთავარია სხვებს, ამ შემთხვევაში – თურქებს ვაამოთ, რა იცი რაში „გამოგვადგებიანო“...

ნატა ნიკლაძე

საპარტიზო იუსტიციის მინისტრის თაა ნულუკიანს

ძალბატონო თაა, წარმოგიდგინო რუსთაველის თეატრში 2013 წლის 19 მარტს შეკრებილი სამოქალაქო საზოგადოების მიერ ერთხმად მხარდაჭერილ საბრალდებო დასკვნას მიხედვით ნიკოლოზის ძე სააკაშვილის წინააღმდეგ სათანადო სამართლებრივი რეაგირებისთვის.

საბრალდებო დასკვნა

აღწერილობითი ნაწილი

საკაკაშვილმა თავისი საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შედეგად, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება სრულიად მიითვისა, რაც ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ 2005 წლის სპეციალურ რეზოლუციაში დაგმო და ხელისუფლებას მათი დაუყოვნებლივი გადახედვა მოსთხოვა.

საკაკაშვილმა ოფიციალურად არამართო უარი განაცხადა ევროპის საპარლამენტო ასამბლეის ჯერ კიდევ 2005 წლის რეზოლუციის შესრულებაზე, არამედ მისი ორგანიზებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტით აკრძალული დანაშაულები ჩაიდინა.

საკაკაშვილმა შედეგად, საქართველოში პოლიტიკურად ტირანული და სოციალურად მწაგვრელი რეჟიმი დაამყარა. სახელდობრ:

1. სააკაშვილმა 2007 წლის 7 ნოემბერს ერთობლიობაში ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტით აკრძალული მიმღე დაწესებულებები.

კერძოდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებულად:

ა) მასობრივად დაარბია, თავისუფლება აღუკვეთა და პოლიტიკური თავისუფლება შეუზღუდა მოქალაქეების მიმართ, რომლებიც იმყოფებოდნენ პარლამენტის კიბეებზე;

ბ) გაეროს კონვენციით აკრძალული ტყვეობის გამოყენებით მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბია რიყეზე;

გ) ტელე „იმედის“ შენობა და ჟურნალისტები მასობრივად დაარბია და ტელეპარატურა გაანადგურა, ოპოზიციური ტელემაუნ ყებლობა გათიშა, საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ტელესივრცით სარგებლობის უფლება შეზღუდა.

დასავლეთის მთავრობათა უარყოფითი რეაქციის გამო, ის პრეზიდენტის პოსტიდან ნებავყოფლობით გადადგა, რითაც შემოაღწია უფლები დანაშაულთა ჩადენა ევენტუალურად აღიარა.

ანალოგიური სახის უფრო მძიმე დანაშაულები მან 2011 წლის 26 მაისს ჩაიდინა, რასაც ადამიანთა მასობრივი წამება, ცემა, სხეულის მრავლობითი დაზიანება და რამდენიმე პირის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

ყველა ზემოაღნიშნული დადასტურებულია დასავლეთის მთავრობათა ოფიციალური განცხადებებით, მონათა ჩვენებებით, ტელევიდეო და სხვა დოკუმენტური მასალებით.

2. ა) სააკაშვილმა ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებული „სამხედრო ოსეთის ავტონომია“ აღადგინა და მას ახალგორი მიუერთა, კოდორის ხეობის მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო, ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი სვანები განაიარაღა და აფხაზეთს ზემო კოდორი მიუერთა, რითაც ღვთისა და ერის წინაშე საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებანი დაარღვია.

ბ) სააკაშვილმა „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“ საბაბით, 2007 წლის 7 აგვისტოს, 23 ააბთსა და 35 წთ-ზე გაცემული ბრძანებით, ჩრდილო ქართლის ზონაში შეიარაღებული აგრესიის, კერძოდ, საქართველოს ქალაქ ცხინვალის და მიმდებარე სოფლების დაბომბვისა და მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმით, საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული ომის დანაშაული და აღამიანურობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაული ჩაიდინა, რითაც რუსეთს ხელი შეუწყო ე.წ.



ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებში

„სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ოკუპაციაში და აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებაში, რასაც საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა მოჰყვა. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი დადასტურებულია ევროკავშირის საგამოძიებო მისიის დასკვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმედებებით, სააკაშვილმა საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის 1 პუნქტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, აგრეთვე საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ჩაიდინა.

3. სააკაშვილმა განზრახ არ აამოქმედა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 29 სექტემბრის რეზოლუცია, რომლის თანახმად: „ევროპის საპარლამენტო ასამბლეა თვლის, რომ ახალი სამშვიდობო ფორმის შექმნასა და კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის მხარდასაჭერად სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სატბილურობისა და უშიშროებისთვის და ამ რეგიონების სტატუსთან დაკავშირებული არ შეიძლება იყოს“, რითაც ლტოლვილთა მშვიდობიან დაბრუნებას ხელი შეუშალა, ანუ საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის 1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებანი დაარღვია.

4. სააკაშვილმა, გამოავლინა რა მისი ფსიქიკისთვის დამახასიათებელი სადიზმი და ნეკროფილია, პარლამენტის ტრიბუნაზე აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების თანამდებობის პირებს უბრძანა ორი ველური პრინციპით: „ნულოვანი ტოლერანტობა“ და „ყველანი ციხეში“ – ემოქმედათ, რასაც პოლიტიკური მოტივით უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი გასამართლება, მრავალი უდანაშაულო ახალგაზრდის დახოცვა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა სისტემად ქცეული სისასტიკე, გაუპატიურება, წამება და მკვლელობა, საპატიმრო და გაუმართლებლად მკაცრი სასჯელის შეფარდება და სხვა მძიმე შედეგები მოჰყვა, რითაც მან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ჩაიდინა, რაც დადასტურებულია პარლამენტის მიერ მიღებული ამინსტიის აქტით, ტელევიდეო და სხვა დოკუმენტური მასალებით.

5. სააკაშვილმა არა თუ ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქეებს დასაქმებაში, არამედ პირქით, საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი და ღვანლმოსილი პროფესორები

და მეცნიერები, ამ მოთავე უნივერსიტეტში განათლებისა და მეცნიერების დამანგრეველი, დღეს აღზევებული ხუბუას დანაშაულებრივი მიმნებლობით დაარბია და უმუშევრად დატოვა.

საკაკაშვილმა დააღვია რა საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის 1 პუნქტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით და საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაულებანი, საქართველოს მოქალაქეების საგრძნობი ნაწილი იძულებული გახადა სამშობლო დაეტოვებინა, ხოლო სანაცვლოდ, ჭარბმოსახლეობიანი ქვეყნებიდან უცხოელების ჩამოსახლებით, მათთვის მოქალაქეობის მინიჭებით და საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი მიწები-სა და სხვა ობიექტებით მათზე პირდაპირი მიყიდვით, საქართველო ქართველები-გან დაცალა, ანუ სახელმწიფო დღეობა და საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტის მეშვიდე მუხლის „დ“ პუნქტით მოცული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული „ქართველთა დემოგრაფიული გენოციდი“ ჩაიდინა, რაც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით არის დადასტურებული.

სარეზოლუციო ნაწილი

1. სააკაშვილმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის 1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებანი.

კერძოდ: 1. სააკაშვილმა ხელყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა;

2. სააკაშვილმა ხელყო ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა;

3. სააკაშვილმა ხელყო ქვეყნის მეცნიერება, განათლება და კულტურა. სააკაშვილის მიერ კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩადენაში გამოვლინდა.

II. სააკაშვილმა ჩაიდინა საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები.

კერძოდ: 1. სააკაშვილმა ჩაიდინა დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ანუ „განზრახი ქმედება“, როგორც მშვიდობიან მოსახლეობაზე ფართო და სისტემატური თავდასხმის ნაწილი, როგორც არის:

- 1) მკვლელობა; 2) ჩახოცვა; 3) მონურ მდგომარეობაში ჩაყენება; 4) დატუსაღება და ფიზიკური თავისუფლების სხვა სასტიკი ხელყოფა;

5) მამაკაცთა გაუპატიურება და ქალთა იძულებითი სტერილიზაცია;

6) სისტემატური წამება და სხვა არაადამიანური აქტი, რომელიც მძიმე ტანჯვასა და სხეულებრივ დაზიანებას ან სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას“.

III. სააკაშვილმა საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ომის დანაშაული, ანუ „შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დამკვიდრებული კანონების და ჩვეულებების“ სერიოზული დარღვევები ჩაიდინა.

კერძოდ, მისი ბრძანებით:

1. განზრახ თავდასხმა მოახდინა სამოქალაქო მოსახლეობაზე, რომელიც საომარ მოქმედებებში უშუალოდ არ მონაწილეობდა;

2. განზრახ თავდასხმა მოახდინა სამოქალაქო ობიექტებზე;

3. განზრახ თავდასხმა მოახდინა მაშინ, როდესაც იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ასეთი თავდასხმა გამოიწვევდა სამოქალაქო პირთა თუნდაც შემთხვევით დაღუპვას ან დაზიანებას, ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას;

4. განზრახ დაბომბა ის ქალაქი, სოფლები, შენობები და საცხოვრებლები, რომლებიც სამხედრო სამიზნეს არ წამოადგენდნენ.“

დასკვნითი ნაწილი

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს,

დაბადებულს 1967 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს მოქალაქეს, უმაღლესი განათლებით, ცოლშვილიანს, ნასამართლეობის არმქონეს,

ბრალი ედება

1. საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის 7 და 8 მუხლებით გათვალისწინებულ განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებში, რის გამოც ის დაუყოვნებლივ აყვანილ უნდა იქნეს პატიმრობაში და საქმესთან ერთად, ქვემდებარეობის წესით ჰააგის სასამართლოს გადაეცეს.

2. ცალკე წარმოების წესით აღიძრას სისხლის სამართლის საქმეები მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში მის თამონაწილე პირთა მიმართ და ჩატარდეს გამოძიება, საქმეების და ამ პირთა ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის შემდგომი გადაცემით.

3. სისხლის სამართლის საქმეებს დაერთოს ევროკავშირის საგამოძიებო მისიის მასალები, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ამინსტიის აქტი და სხვა მამხილებელი დოკუმენტაცია.

4. ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ეთხოვოს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე მისი პროკურორის წარმომადგენელს გაუერთიანოს;

ბ) სააკაშვილის მხრიდან საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული სისხლის სამართლის ახალ დანაშაულთა ჩადენის პრევენციის მიზნით მას აღმკვეთ ზომად პატიმრობა დაეტოვოს;

გ) 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროულად დასრულება უზრუნველყოს.



ლრმა პატივისცემით, პიძინა სავანელი, საბარათის ლომბრო, პროფესორი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე, რომელიც მან რეგიონებში მოღვაწე ყურნალისტებისთვის გამართა, ერთმა ფოთელმა კოლეგამ ისეთი რამ იკადრა, რისაც პირველი კლასის მოსწავლესაც შერცხვებოდა:

— პატივცემულო მასწავლებლო, ბესელიამ თქვენზე ცუდი რამე თქვა.

ენა მიიტანა. რას აკეთებს ამ დროს გამოცდილი პედაგოგი? გაცემული პედაგოგი კლასში მამულარობის აღსაკვეთად ასეთ მოსწავლეს დარწმუნებით და ცოტა მკაცრადაც ეტყვის:

— ბესელია ამას არ იტყობა. რა რეაქცია ჰქონდა პრემიერ-მინისტრის ფოთელი ყურნალისტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე — ეკა ბესელიამ თქვა, ივანიშვილმა ფოთი მე ჩამაბარაო, — არაფერს ვიტყვი, რადგან თავად ნახეთ და მოისმინეთ პრესკონფერენციის ტრანსლაციისას.

ხოლო რა რეაქცია ჰქონდა ბესელიების ოჯახს ბინძური სკანდალის აგორების ასეთ მცდელობაზე, მე გეტყვით.

— გავოგნდი იმით, რაც გავიგონე, — ამბობს ქალბატონი გულიკო ბესელია — ორგანოებში, ეკა ბესელიას დედა, — ის, რასაც ყურნალისტი ჩემს შვილს სწამებდა, აბსოლუტურად არ შეესაბამება ეკას პრინციპებს, მის ხასიათს, მის მორალს.

უამრავმა ადამიანმა დამირეკა იმ დღეს ფოთიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან — ეს სიმდაბლე გულთან არ მიიტანო, რადგან არავის გვჯერა და ვერც ვერავინ დაგვარწმუნებსო.

ნუ ჩამომართმევთ, რომ მაინცდამაინც დედის პოზიციიდან ვლაპარაკობ, ეკა სხვისი შვილიც რომ ყოფილიყო, როგორსაც მას ვიცნობ, იგივეს ვიტყვოდი. დარწმუნებული ვარ, რომ რაც ეკას დღემდე ფოთელებისთვის გაუკეთებია, იმ საქმით, რასაც მომავალში გასწავს, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება მის გულწრფელობაში, ყველას დაუმტკიცებს თავის სიმართლეს.

და იმ ყურნალისტსაც შერცხვება თავისი ნათქვამი.

— სხვათა შორის, იმავე პრესკონფერენციაზე გამოსულმა ახალგაზრდა ყურნალისტმა იმავე ფოთიდან დაამტკიცა ცილისმწამებლური განცხადების აბსურდულობა.

ეკა ბესელიასთვის მეც ჩამომართმევია არაერთი ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილის ფოთში ჩასვლამდეც და შემდეგაც, ვესწრებოდი დეპუტატობის კანდიდატის ფოთში უბან-უბან მოწვობილ შეხვედრებს ხალხთან, ვუსმენდი მის გამოსვლებს და ვადასტურებ: არც ერთხელ, არსად, არც ერთ სიტყვაში მისგან მსგავსი რამ არ გამიგონია.

ის კი არა, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხშირ-ხშირ დამონებებსაც ვრეიდებოდა.

არავითარი ხაზგასმა ნდობის განსაკუთრებული ხარისხისთვის, მინიშნებაც კი...

აბსურდის თეატრში გამართულ პროცესზე მოწმედ დაბარებული ჩვენებასავით რომ არ გამომივიდეს, აქ დაესვათ წერტილი.

ქუთაისის პარლამენტის შენობის დაცვის წევრებს უთქვამთ: ეკა ბესელია გვიან ღამით პარლამენტიდან რომ გამოდის კარებს მავნი ვკეტავთო.

გვიანობამდე მუშაობს. დიდ და დამე განსაკუთრებით კი მაშინ ჰქონდა გაერთიანებული, როცა პოლიტიპატიმრების საქმეებს ცალ-ცალკე, პერსონალურად იხილავდა.

— ახალი ხელისუფლების ყველაზე დიდი გამარჯვება, ჩემი აზრით, იყო ის, რომ პოლიტიპატიმრებად აღიარეს ეს ხალხი და ციხეებიდან გამოუშვეს ამდენი ნატანჯი და ნანამები ადამიანი, — ამბობს ქალბატონი გულიკო.

ვუსმენ და თანდათან ვრწმუნდები, რომ სხვანაირი არც შეიძლება იყოს მისი მსჯელობა ოპოზიციის ჭირვეულობაზე, იმაზე, რომ დაუშვებელია პრეზიდენტი ერთი პარტიის პრეზიდენტი იყოს, მაპატიეთ, მაგრამ დედაქალაქის მერიც მარტო ნაციონალების ინტერესების გამტარებელი არ უნდა იყოსო, და ა.შ.

არა მგონია, მაინცდამაინც იმიტომ, რომ მისი შვილი ოჯახშიც შესაბამის საუბრებს ატარებს.

— რას ამბობთ, სადა აქვს მაგის დრო. ქუთაისიდან წამოსული თბილისს რომ მოუახლოვდება, დამირეკავს: დედა, თუ რამე გაქვს, შეატეო. შემოვა, ფეხზე მდგარი წაიხემსებს და ისევ გარბის ღონისძიებებზე. კოაბიტაციაზე რას ფიქრობს დედა?

— ჯერ განიხილეთ იმისგან, რა დანაშაულიც აქვთ ჩადენილი, მოინანიონ. განწმენდილი ვინც დარჩება,

აი იმათთან შეიძლება თანამშრომლობა, თანაცხოვრება, ურთიერთობა.

ქალბატონ გულიკოს ის უყვირს, რომ თითქოს არიან განათლებული, ნაკითხი და ნასწავლი ადამიანები ნაციონალებს შორის, მაგრამ თავიანთ მსჯელობაში ერთ ყალიბში ჩამოსხმულებივით ლაპარაკობენ, ფრაზებსაც კი ერთსა და იგივეს იმეორებენ: სააკაშვილი რასაც იტყვის, იმას ატრიალებენო.

— ერთხელ ქუჩაში შემხვდა დეპუტატი გოკა გაბაშვილი. ვიფიქრე, გავაჩერებ და შევეკითხები, გნამს შენ ის, რასაც ამბობ?

იცოდა, რომ ფუჭი საქმე იქნებოდა, მაგრამ გულწრფელად აინტერესებდა მიელო პასუხი კითხვაზე — ებლაუჭებიან იმ იკეთებებს, რომლებიც ხალხს წაღლიტეს, მითვისებს? ამისთვის იბრძვიან, თუ მათი

# „დედა, თუ სადილი გაქვს, შემიტე“



რწმენაა ასეთი? მიშას უმტკიცებენ ერთგულებას, თუ ის, რასაც სააკაშვილი ეუბნება, რწმენად ჩამოუყალიბდათ?

— ასე განსჯის დედა ეკასი, მაგრამ თვითონ ეკა ბესელია როგორი დედაა?

— არაჩვეულებრივად კარგი, მაგრამ მოუცლელი. ახლა შაბათ-კვირასაც დრო არ რჩება შვილებისთვის. უნინ როგორღაც ახერხებდა.

— ორი შვილი ჰყავს, რომ?

— გოგონა და ბიჭი — ლიზა 8 წლისაა, რატი 21 წლის.

— დედისკენ უფრო რომელია?

— ლიზიკო ამბობს, დედაზე უკეთესი უნდა გამოვიდყო (ვიცინით). თვითონაც მონანილებოდა პოლიტიკურ აქციებში, წინასწარჩვენი ღონისძიებებში დედას არ სცილდებოდა. რატიც, რა თქმა უნდა.

— ოჯახის წევრები რა გასაკვირია, როცა ფოთში ეკა ბესელიას ორგანიზებულ საპროტესტო მსვლელობაში ბოშა ქალებიც მონაწილეობდნენ. ჩემი თვალით ვნახე...

— რომელი სკოლა დაამთავრა თქვენმა გოგომ?

დედა იხსენებს, რომ ეკა სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის სკოლაში სწავლობდა და წარჩინებითაც დაამთავრა. მთელ დროს სწავლას უძღვნიდა, მაგრამ ერთი გატაცება ჰქონდა: ბიჭებთან ერთად თავდავიწყებით თამაშობდა... ფეხბურთს.

— დიას, — ფეხბურთს. დიდი ეზო გვაქვს ნოსირის ცენტრში. ბიჭები აქ იკრიბებოდნენ სათამაშოდ. შემდეგ მიატოვა ფეხბურთი, რადგან კალათბურთმა გაიტაცა.

ცა. ასწლოვანი ნაძვები იდგა ჩვენს ეზოში. იქ დავუშვა კალათბურთის ფარი და ვარჯიშობდა.

მამა ტრადიციების მიმდევარი, თანაც მკაცრი კაცია: გოგო და ბურთი ვინ გაიგონაო, და ძალიან უშლიდა.

დედა ხელს უწყობდა. ჯერ ერთი, ბავშვს უწოდდა. მეორე, გამოსდიოდა კიდეც. დედას მამისგან ფარულად დაჰყავდა სენაკის სპორტსკოლაში.

— იმ დროს, — განაგრძობს ქალბატონი გულიკო, — მოსწავლეთა ოლიმპიადები და სპარტაკიადები ტარდებოდა. ეკას კალათბურთის სიმალლე არ აქვს, მაგრამ შესანიშნავი გამთამაშებელი იყო, სწრაფი და ტექნიკური. ქუთაისში საქართველოს პირველობა რომ ტარდებოდა, ნაკრების მწვრთნელმა ლიზა აზიზოვამ შეამჩნია რაიონიდან ჩამოსული გოგონა, მოიწონა და საქართველოს ნაკრებში მიიწვია.

— მამას წინააღმდეგობა არ გაუწევია?

— მამა მუშაობდა — დილით ადრე მიდიოდა, ღამე გვიან ბრუნდებოდა, ოთხი ბავშვი ჩემზე იყო და მეც ყველაფერს არ ვუყვებოდი ჩემს მეუღლეს. ეკას კალათბურთი ჩვენი საიდუმლო იყო.

მაგრამ ნაკრები ხან საკავშირო პირველობაზე მიემგზავრებოდა, ხან ზონალურ ტურნირებზე და მამას ეკას სანოლის სიცარიელე რომ არ შეემჩნია, დედა მუთაქას ისე დადებდა, ისე შემოუწორებდა საბაზს, რომ კაცის შვილი ვერ ამოიცნობდა ამ უმშაკობას.

— ბავშვებს სპორტი რომ გაიტაცებდა, როგორც ნენსი, სწავლას უკლებენ. ეკა მასწავლებელთან შევიდოდა, საგნებში მთელი კვირის პროგრამას გამოართმევდა, სახელმძღვანელოები მიჰქონდა შეჯიბრებებზე და სწავლობდა. მის თავს გეფიცებით, ასე იყო.

არ მახსოვს გაკვეთილის მომზადება დაზარებოდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ როცა მასწავლებელი შეუძლოდ იგრძნობდა თავს, ახალ გაკვეთილს ეკას ახსენებდა.

წიგნებს კითხულობდა და თვითონაც წერდა — ჩანახატები, მოთხრობები, ლექსები. დედამ თქვა რომაწიგნებსაც, მაგრამ წავუყურე და ახლაც სასხვათაშორისოდ ვახსენებ. მაგრამ — წერდა.

მისი დღიურის ჩანაწერები — პირველი შვილის დედობას რომ ელოდებოდა ეკა ბესელია, მომავალ შვილთან საუბარი, ერთ-ერთი ტელეარხის გადაცემაში წაუკითხავს და ცრემლად დაღვრილა სენტიმენტალური მამულებელი უმშვენიერესი სქესისა.

ქალბატონ გულიკოს ვთხოვე, თუ სადმე შემოგრჩათ ეკას ადრინდელი ჩანაწერები, მეც წამაკითხეთ-მეთქი. ვთხოვე. ექებეს. ერთი კვირის თავზე მითხრეს, ვერ ვიპოვეთო.

სამწუხაროა.

დედაც წერდა თურმე, ქალბატონი გულიკო — პროფესიით სოფლის მეურნეობის ინჟინერ-ტექნოლოგი.

მამას — გულმერგ ბესელიასაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული.

— ერთი კვირის ნაცნობობა გვქონდა და მომიტაცა.

— მოილაპარაკეთ, თუ მართლა მოგიტაცათ?

— მართლა მომიტაცა (იცინის). ქობულეთში, ჩაის ფაბრიკაში განაწილებით დავიწყე მუშაობა, — იქი-დათ. ეტყობა, ასეთი ბედისწერა მქონდა. ერთი დღით ჩამოვიდა ქობულეთში. ბიძინა მუშაობდა ჩვენთან ინჟინერ-ნორმადარად. შემთხვევით დამინახა... და ერთი კვირის თავზე მომიტაცა.

— ეკაც სომ არ მოუტაციათ?

— (ეღიმიება) კი. პირველ კურსზე იყო.

— ახლა პარლამენტს რომ ჰყავს ქუთაისში გატაცებული, როგორ ეგუებოდა?

პასუხი იყო ისეთი, როგორსაც ველოდი:

— თუ ხალხს და ქვეყანას სჭირდება, იყოს გინდა ქუთაისში, გინდა სტრასბურგში, გინდა ამერიკაში. მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემი შვილი წვალთობს და თბილისი-ქუთაისის გზაზეა გადავსული, არამედ იმიტომ, რომ არარაციონალურია ქუთაისში საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირება.

არარაციონალურია, მაგრამ არის. არის ისევე, როგორც ნაციონალების სისტემატური გამოხდომები და ხალხის ტვინის ასარევად სააკაშვილის ერთი მსახიობის ყოველდღიური უნიჭო შოუ გამრუდებულ ტელესივრცეში.

მაბზლარა ყურნალისტი, ვაი თუ, ამათი წახალისებულია — მუდმივად დაძაბული სურთ იყოს თავსმოხვეული თანაცხოვრება.

კვლავ გალალდნენ ნაციონალ-ბოლშევიკები, ხალხს კი — ვაი უჭკუობისგან, სახელად კოაბიტაცია.

არგაზ სანავლიძე

**ალიან-ჩალიანი**

**ინდოელი ფარმაცია საქართველოში უკმაყოფილებას აღვივებენ**

ტილმპლუმბანნი „ალ ჯაზირა“ აგრეგატებს ემა ჰაიგორდის სიუფტის ინდოელი ფერმერების მიერ საქართველოში შექმნილი მინების შესახებ. სიუფტში, სახელწოდებით „ინდოელი ფერმერები საქართველოში უკმაყოფილებას აღვივებენ“, ავტორი აღნიშნავს, რომ ათასობით ინდოელის მიერ ნოციერი ქართული მინების შექმნას ვეღვა ქართველი არ მიესალმება.

საქართველოს ხელისუფლებამ უცხოელებისთვის მინების შექმნა გააიოლა, რის შედეგადაც, ათასობით ინდოელმა ფერმერმა შეიძინა მინები საქართველოში.

პენჯაბელი პროკურორი პარმაჯიტ სინგპ ბაჩვა ერთ-ერთია, ვინც სამშობლოდან ათასობით კილომეტრის დაშორებით წამოვიდა და ათასობით დოლარი დააბანდა ქართულ მინაში. ახლა კი კარგი მოსავლის მოლოდინშია, — აღნიშნავს „ალ ჯაზირას“ ურნალისტი.

— აქ ვეღვაფერი უფრო უკეთესია, ვიდრე ჩემ სამშობლოში — მთლიანად ქვეყანა, ხალხი, სისტემა. ვეღვაფერი მისაღებია, — აცხადებს პენჯაბელი ბაჩვა „ალ ჯაზირასთან“ საუბრისას.

ინდოელი გამოქვეყნებული რეკლამები იქაურებს დაბალ ფასებში სთავაზობს საქართველოში მინების შექმნას და ოჯახებს იქ გადაბარებისკენ უბიძგებს, — აღნიშნავს სიუფტის ავტორი.

— საქართველოს სოფლის მეურნეობა კრიზისში იყო, რის გამოც უცხოელი ფერმერების მოზიდვა კონკურენტული ფასის მქონე მინებით დაიწყო. კანეთის რეგიონში უკვე 300-მდე ინდური კომპანიაა, რომლებიც ადგილობრივებისგან მინებს ვიდულობენ. თუმცა, ბევრი ადგილობრივი უკმაყოფილებას გამოთქვამს უცხოელების შემოდინების გამო, — ნათქვამია „ალ ჯაზირას“ სიუფტში. „თუ ასე გაგრძელდა, მალე აღარაფერი დავგრძობ. ინდოელი მფლობელები არ გვინდა, მათ არც ქართული იცინ და არც ჩვენი წეს-ჩვეულებები, — აცხადებენ კანელები „ალ ჯაზირასთან“ საუბრისას. თუმცა, — როგორც სიუფტის ავტორი აღნიშნავს, — განსვავებული მოსაზრება აქვს საქართველოს ხელისუფლებას.

— დღეს მინებს პენჯაბელები იძენენ, შესაძლოა, ხვალ ამერიკელებმა შეიძინონ, ზეგ ვეროვებებმა. ასე რომ, ჩვენ განსწილები უნდა ვიყოთ. ეს ეკონომიკის ზრდის და მეტი პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას მოგვცემს, — განუცხადებდა „ალ ჯაზირას“ ურნალისტს „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტმა ბაბატა შემეღიძემ.

ინტერპრესი

პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა პრემიის სახით 537 048 ლარი მიიღეს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მშეღაზი დიდი ოდენობის პრემია 13 ომის ბანკავალეტში — 47 710 ლარი პრემიის და საბარაო ურთიერთობების სამსახურის უფროს ზურაბ დარჩინაშვილზე მიიღეს. ამის შესახებ ნათქვამია საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის ვებ-გვერდზე IDP-ის გამოქვეყნებულ მასალაში.

გაცემული პრემიის ოდენობით მეორე ადგილზე პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი ნათია ბანძელაძე — 40 013 ლარი.

ბანძელაძეს პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი მოსდევს 38 940 ლარით, თუმცა, მისი ვინაობა გამოთხოვილ ინფორმაციაში მითითებული არ არის. მიხეილ სააკაშვილის შვიდ მრჩეველთაგან სამმა 13 თვის მანძილზე 17 400 ლარი, ერთმა 19 320, დანარჩენმა ორმა კი 2 000 და 4 000 ლარი მიიღო.

IDP-ის ცნობით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პრემია პრეზიდენტის სამდივნოს უფროსზე, 32 240 ლარის ოდენობით გაიცა. სულ, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდში 26 პირის პრემიებზე 537 048 ლარი დაიხარჯა.

თუ შევადარებთ მრჩეველების მიერ აღებულ პრემიებს მათ თანამდებობრივ ხარგოს, მივიღებთ, რომ ერთ-ერთმა მრჩეველმა 13 თვის მანძილზე ხელფასზე 149-ჯერ მეტი პრემია აიღო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის თანამდებობრივი ხარგო განსაზღვრულია 2 300 ლარით. შესაბამისი პრესსამსახურის უფროსი 13 თვის მანძილზე ხელფასზე 1.3-ჯერ მეტი თანხას იღებდა პრემიის სახით, ხოლო პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა იმავე პერიოდში ხელფასზე 1.59-ჯერ მეტი თანხა აიღო პრემიის სახით, — იუწყება IDP.

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის ცნობით, ადმინისტრაციამ 2012 წლის მანძილზე სახელმწიფო შესყიდვებზე სულ 3.040.723,48 ლარი დახარჯა. მაგალითად, პრეზიდენტის სასახლის დასათვალიერებლად მოსული სტუმრებისთვის კვების მომსახურების შესყიდვას წლის მანძილზე 72 294,4 ლარი დასჭირდა.

ამავე ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით ადმინისტრაციამ 712 301 ლარის ბენზინი და 68 289 ლარის დიზელი დახარჯა.

ამ ინფორმაციას უკვე მოჰყვა ფორუმზე შეფასებები. მოქალაქეები აცხადებენ, რომ ქვეყანაში 77 000 ბავშვი შიმშილობს და 4 300 შიმშილითა და მოუვლელითაა გარდაცვლილი, ამ დროს კი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პრემიებზე ამდენ თანხას ხარჯავენ.

ისიც ირკვევა, რომ 11 თებერვლის მონაცემებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტატში დასაქმებულია 139 თანამშრომელი, შტატგარეშედ კი 2 თანამშრომელი მუშაობს.

ჩვენ დავინტერესდით, რა აუცილებლობას წარმოადგენს პრემიების გაცემა პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის იმ პირობებში, როცა სააკაშვილი, ხშირად, სწორედ ამ მომჭირნეობით იწონებდა თავს. მით უფრო, როგორც ჩანდა, იგი, თითქოს, საკუთარი რეზიდენციის ჩაბნელებასაც შეგუებული იყო და დაცვისთვისაც ზედმეტი ფულის ხარჯვას არ აპირებდა და ელექტრომობილით გადაადგილდებოდა, რომ არაფერი ეთქვათ, არაერთგზის დაპირებულ საპრეზიდენტო რეზიდენციების გაყიდვაზე.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ ადამიანის მომჭირნეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ნაშრომ ფულს ხარჯავს იგი. როგორც წესი, საკუთარი შრომით მიღწეულ ფინანსურ უზრუნველყოფას მეტი სიფრთხილით ეკიდება ადამიანი, მაგრამ, როცა ყოველგვარი ძალისხმევით გარეშე ციდან ცვივა თანხები, მის მიმართ დამოკიდებულება არასერიოზულია.

„ამერიკაში ხელს მრუბართოს ყველას, ვისაც ამის უნარი აქვს, რომ იყოს ხელგაშლილი, ოღონდ ხელგაშლილობას დადებითი ნიშანი მაშინ აქვს, როდესაც საკუთარ ნაშრომს ანაწილებს. ხოლო, თუ სხვის ფულს აბნევს, ამას ჰქვია გაფლანგვა. ამიტომ პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის პრემიებზე გაღებული თანხები ამ სახსრების გაფლანგვაა“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი და აცხადებს, რომ, როგორც ჩანს, ერთი კაცისთვის საქართველოში კომუნიზმი ყოფილა დამყარებული და ჩვენ ეს ვერ გავგვიგია.

რაც შეეხება ელექტრომობილზე ვითომც ფულის დაზოგვას, სოსო ცისკარიშვილი ინტერესდება, გვითხრას პრეზიდენტმა, თუ რა ღირს ეს ელექტრომობილი და ამის შემდეგ ვიანგარიშებთ, რამდენად მომჭირნე მუშურე კაცის მოსაპოვებელია ასეთი ფუფუნება. თუმცა, ექსპერტი იმაშიც დარწმუნებულია, რომ მეორეადი გამოყენების ავტომობილებს ნამდვილად არ იყენებს სააკაშვილი. საერთოდაც, რაც უფრო ნაკლებს ილაპარაკებს საჯაროდ, უფრო ნაკლებს საყვედურს და იმსახურებს.

რაც შეეხება პრეზიდენტის სასახლის დასათვალიერებლად მოსული სტუმრებისთვის კვების მომსახურების შესყიდვაზე გაღებულ თანხებს, სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ სტუმარიც არის და სტუმარიც. თუ ოფიციალურ დელეგაციებზე საუბარია, ქართველები სტუმრის მიმართ გულუხვობით ნამდვილად გამოიჩინებენ. ხოლო, თუ ექსკურსიანებზე მოსულ სტუმრებს უმასპინძლებდა პრეზიდენტი, ექსპერტი ვარაუდობს, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი „ბარამბოსთვის“ იქნება გამიზნული.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ პრემიებზე გაღებულმა თანხებმა ეკონომიკის ექსპერტ დემურ გიორგენიძეს რუსული ანდაზა გაახსენა, „როცა გაძღვევს, — აიღე...“ იგი მიიჩნევს, რომ პრინციპი აქაც იგივეა.

„რას ვერჩით ბანძელაძეს? ქალბატონისთვის 40 ათასი ლარი ბრწყინვალე შემოსავალია ამ დაქვეყნულ ქვეყანაში. თუმცა, იმავე მრჩეველმა ისეთი რა ურჩიეს სააკაშვილს,



# პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პრემიებზე ნულინაღვი ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დახარჯა

რომ ნახევარ მილიონს აძლევდა? კარგი რჩევა რომ მიეცათ, დღეს სააკაშვილი ბრწყინვალე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ სწორედ მისმა გარემოცვამ დააღუპა და ქვეყანაც უზარმაზარ ჩისში შეაყვანინა“, — აცხადებს დემურ გიორგენიძე.

ამასთან, მიიჩნევს, რომ ეს პრემიები წყალში გადაყრილია, რადგან პრეზიდენტის საქმიანობას მრჩეველების რჩევაზე დაფუძნებული არაფერი ეტყობა.

მისივე თქმით, ძალიან სოლიდურად გამოიყურება ეს თანხები ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო, როდესაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ხელფასიც კი არ აქვს. ჩვენი ჯანსაღი მუშახელის 73 %-ს არ აქვს ხელფასები და ეს დიდი დიფერენციალია ხალხის ფულთან შედარებით, რაც ბიუჯეტის არაეფექტური ხარჯვაა. თორემ, პირადად, როგორც დემურ გიორგენიძე ამბობს, ნათია ბანძელაძის ან პრეზიდენტის მრჩეველების მიმართ საინალმდეგო არაფერი აქვს, რადგან ამ ადამიანებს აძლევდნენ და ისინიც იღებდნენ ამ თანხებს.

ამასთან, ეკონომიკის ექსპერტი აცხადებს, რომ მართოქართული მრჩეველების მომსახურებით არ შემოიფარგლებოდა პრეზიდენტი და საინტერესო ისიც იქნება, უცხოელ მრჩეველებს რა თანხები აქვთ მიღებული, რომლის შედეგად ჩვენი ქვეყნისთვის ნულის ტოლია.

„ჩვენ შეგვიძლია, მარტივად ვთქვათ, რომ ეს თანხები ხალხის ფულის არაეფექტური ხარჯვაა. თორემ, პრეზიდენტს და მის მრჩეველებს მაღალი ხელფასები რომ უნდა ჰქონდეთ, ეს სადავო არაა. უბრალოდ, მათი საქმიანობა რეალური შედეგით და ქართველი ხალხის ანაზღაურების გათვალისწინებით უნდა იყოს განსაზღვრული. ასეთი საშინელი კატასტროფული დისპროპორცია, როცა ზოგიერთს 300-400 ლარი ენატრება თვეში და პრეზიდენტის ირგვ-

ლივ ასეთი მაღალანაზღაურებადი თანამდებობებია, რა თქმა უნდა, სოციალურ უსამართლობას იწვევს“, — აცხადებს ექსპერტი.

აქვე პრეზიდენტის სასახლის დასათვალიერებლად მოსული სტუმრების კვების მომსახურებისთვის გაღებულ თანხებსაც ეხმაურება და აცხადებს, რომ ეს 72 ათასი ლარი დაახლოებით 20 ან 30 კაცის ომერაციას დააფინანსებდა და ათჯერ უფრო უკეთესი ეფექტი ექნებოდა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე ზედმეტი ხარჯების წინააღმდეგია და რეგულარი დანამატის გაცემას არასწორად მიიჩნევს. მისი აზრით, პრემიის გაცემის ფორმა არასწორია. ამდენად, იგი იწონებს ახალი მთავრობის გადაწყვეტილებას პრემიების შეზღუდვით გაცემასთან დაკავშირებით.

„არ შეიძლება, ყოველთვიურად მიიღოს ადამიანი პრემია. ასეთ შემთხვევაში, ორი ვარიანტია, ან რაღაც ექსტრაორდინარულ დავალებებს გაძღვევს გამოუძემბით და თანაც, ამ დავალებებს ასრულებს, ან ექსტრაორდინარულ სიტუაციაში მუშაობს. თუ ასეა, მაშინ დაგეგმარება არასწორია და რაღაც არაჩვეულებრივი დავალებები გაიცემა. ზოგადად, პრემია უნდა გენიჭებოდეს რაღაც დამსახურებისთვის. დამსახურება კი ისაა, როცა სამუშაოს შედეგად, უფრო მაღალი ხარისხით ასრულებს“, — აცხადებს პაატა შეშელიძე.

აქვე იგი ინტერესდება, ამისთანა რა გააკეთეს ამ ადამიანებმა, თუმცა, ექვობს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გაღებული პრემიები ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა დავით დარჩიაშვილმა გალიზიანება ვერ დაფარა, როცა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრემიებით დაინტერესდით. მან გვიჩინა, გაგვეანალიზებინა, ძველი ხელისუფლება უფრო დიდ პრემიებს გასცემდა თუ ახალი?! ამასთან გვითხვა, უფრო საშინაო ან საგარეო პოლიტიკის შესახებ გვეკითხა მისთვის რჩევები, თუნდაც ეკონომიკის ირგვლივ ჩავძიებოდით, რადგან „პრემიებით გართობა“ დროის ხარჯვა იყო.

როცა ვკითხეთ, მრჩეველებისთვის გაღებული 47 ათასზე მეტი თანხა რამდენად მიზნობრივი იყო, დავით დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ არამიზნობრივი ხარჯი ისაა, როცა საერთოდ არ ფორმდება, როცა აკრძალულია ასეთი ხარჯი და ამის გამო ადამიანს პასუხისგებაშიც აძლევენ.

„თუ პრემიების დონე ვილაცას აშფოთებს, ეს გასაგებია, იდევით ამაზე, რამდენიც გნებავთ. გაიგეთ, ეს პრემიაა და არა ქრთამი. თქვენ გგონიათ, თქვენთვის კომენტარების გაცემის მეტი სხვა საქმე აღარ მაქვს ცნობრებაში? აი, ქრთამის შესახებ თუ გაიგებთ რამეს, თქვენთან ერთად მეც აღვფოთდები. გასაგებია, ვილაცას ეს პრემიები აღიზიანებს, ვილაცას არ აღიზიანებს. რა ვქნათ?“

ჩვენ შევასხენთ დავით დარჩიაშვილს, რომ ადმინისტრაციისთვის გაღებული პრემიები მით უფრო გაუგებარია, როცა პრეზიდენტი გამოუძემბით თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე საუბრობს, თუმცა, დავით დარჩიაშვილი სხვაგვარად ფიქრობს.

„უბრალოდ, ჩემი მოგვარება ზურა დარჩიაშვილი და შეიძლება ისიც ჩანეროთ, ბიძაშვილიაო, მაგრამ მინახავს, თუ როგორ მუშაობს იგი. მე რომ ვიყო პრეზიდენტის ადგილზე ან თუნდაც ვიანიშვილის აპარატში რომ მუშაობდეს იგი, დარწმუნებული ვარ, აავსებდნენ პრემიებით პროფესიონალური მუშაობის გამო.“

შესაბამისობაში მოდიოდა თუ არა ამხელა თანხის გაღება პრემიებისთვის საქართველოს მოსახლეობის ანაზღაურებასთან, ამის საპასუხოდ დარჩიაშვილი დაინტერესდა, „თქვენ სოციალისტი ბრძანდებით?“

თუმცა, ჩვენგან პასუხად მიიღო, რომ „მე ყურნალისტი ვარ“. ამის შემდეგ იკითხა, „მინტერესებს, რა იდეოლოგიის მიმდევარი ხართ — სოციალისტური, კომუნისტური იდეოლოგიის?“

როცა ვუპასუხეთ, რომ აქ სოციალიზმი არაფერ შუაშია და ხალხის ინტერესებია მთავარი, მან აღნიშნა: „სოციალისტურ-კომუნისტური იდეოლოგიით, პრემიებზე თანხების გაღება საშინელებაა და დაუშვებელია, მთელი ფული უნდა რიგდებოდეს ადამიანებზე. თუმცა, ამის შემდეგ სოციალისტური სისტემები უბრალოდ ინტერესს ხელმე. ნორმალურ საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში კი პროფესიონალ მოხელეებს მაღალი ხელფასები და პრემიები აქვთ. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მექანიზმი, რომ მექრთამეობას ებრძოლონ. თორემ შევარდნაძის დროს მინისტრების ხელფასები ასი ლარი იყო. როგორ გგონიათ, იმავე ზურა დარჩიაშვილთან მიმართებით უარესად ცნობრებადნენ თუ უკეთესად? დარწმუნებული ვარ, უკეთ ცნობრებადნენ.“

მარიამ ლოლაშვილი

## ინფორმაცია საჯარო ბანხილვის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2013 წლის 27 მაისს, ორშაბათს 12:00 საათზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენობაში დაგეგმილია თბილისი-ბაკურციხე-ელაგოდეხის (ახერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ16-კმ21 მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

მისაწვდომია:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში, ქ.თბილისი, გულუას ქ. №6 (გზის ანგარიშის ამბუკუდილი ვერსია);
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: [www.georoad.ge](http://www.georoad.ge)

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები გაუგზავნოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს: **ლიზო ბუბაშვილს**, ტელ: 595219141 . [likabubashvili@yahoo.com](mailto:likabubashvili@yahoo.com)  
 შენიშვნების მიღების ბოლო ვადა არის 2013 წლის 17 მაისი.

გზის პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელ-



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



მაღალ რუსეთში პარტიული ღონის დამსახურებას დაიწყებენ

მზობრულ, დაგვი უკვე გვეყოფა. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ქართველი პოლიტიკოსები საქმით დაადასტურებენ თავიანთ სურვილს - იცხოვრონ რუსეთთან, როგორც კეთილ მგზობელთან, და არა როგორც ბაზართან ბორჯომისთვის. მართლ ლამაზი სიტყვები მეგობრობის შესახებ, მაპატიეთ და, საკმარისი არ არის.

რამდენიმე წლის წინათ სომხეთში მოგზაურობის დროს ხშირად მეკითხებოდ-

ვილს. - სსრ კავშირში ელოლიავებოდნენ ქართულ კულტურას, ტრადიციებს და სამხარეულს ისე, რომ საქართველომ ირწმუნა თავისი განსაკუთრებულება. გაგვიცინებდა - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კი ხალხს თბილისში უკვირდა, სად გაქრა ჩვენი გავლენა მოსკოვში? ახლა ქართველები თავად არწმუნებენ თავიანთ თავს - მათი რესპუბლიკა სსრ კავშირის „გვირგვინში მარგალიტი“ იყო. პროპაგანდისტულ ფილმში სამხრეთ ოსეთში ომის შესახებ „ავგისტოს 5 დღე“ მოჰყავთ პუტინის სიტყვები: „საქართველოს დაკარგვა - XX საუკუნის მთავარი ტრაგედიაა“ - და ეს სისულელეა, პუტინს თავის სიცოცხლეში არ უთქვამს ასეთი რამ! მხოლოდ ახლა, ოცი წლის შემდეგ, ადამიანებმა დაიწყეს ფიქრი - ჰმ, რუსეთი ხომ უჩვენოდაც მშვიდად ცხოვრობს. სამაგვიროდ, აქ ეკონომიკაში მხოლოდ პრობლემებია.

ლაფერი უღრუბლოა? დღემდე არავის მოუხდია ბოდიში რუსი მშვიდობისმოყვარეების მხედური დახოცვის გამო ცხინვალში, სამხრეთ ოსეთში ომის პირველ დღეს. თბილისში ისე მოქმედებს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი - იმის გათვალისწინებით, თუ რა თანამდებობები ეკავათ სსრ კავშირში ქართველებს იოსებ სტალინს, ლავრენტი ბერიას და ედუარდ შევარდნაძეს, იგი მეტად კომიკურად გამოიყურება. თბილისში არტისტი იური ბაშმეტის ჩასვლის დღეს გაიმართა მინტიგი მოთხოვნით - დააპატიმრონ მუსიკოსი აფხაზეთში მისი წინა ვიზიტის გამო. ეს რა, მეგობრობის გამოვლინებაა? მესმის, მალე მხოლოდ კაბა იბადება. მაგრამ ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლის ნახევარი წლის შემდეგ უკვე შეიძლება სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ.

ნოსტალიგია კიკაბიძე

-საბჭოთაშრომის დამოუკიდებლობის 22 წლის განმავლობაში მისი ყოველი პრეზიდენტი ბრალს სდებდა რუსეთს ყოველგვარ ცოდვაში, - მიაჩნია ქართული წარმომავლობის თურქ პოლიტოლოგს ანვარ რაშიძეს. - უწინარეს ყოვლისა - ზვიად გამსახურდია და მისივე სააკაშვილი, შემდეგ - ედუარდ შევარდნაძე. ეს ერთგვარი „კეთილი ტრადიცია“ გახდა. შედეგად, აქ უბრალოდ შეეჩვივნენ: რუსეთი დამნაშავეა საქართველოს ნებისმიერ პრობლემაში. აბსურდამდე მიდის საქმე - როდესაც ადგილობრივ პრესაში გაჩნდა ეკონომიკის მინისტრის ვერა ქობალიას სტრიპ-კლუბში ცეკვის სკანდალური ფოტო, ქალბატონმა უმაღლესი მითითა... რუსეთის სპეცსამსახურების ინტრიგებზე. რუსეთის ზედმეტად დიდი მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ როგორ არიან მისდამი განწყობილი საქართველოში.

დიახ, ალბათ. ეს ჩვენი ნოსტალიგია კიკაბიძის სიმღერებზე, ფილმზე „არ დაიდარდო“, მზინა კურორტზე... და, ალბათ, მეტი არაფერი. საქართველოსთან ვაჭრობა არც ისე ხელსაყრელია, გავაუქმებთ ვიზებს - ჩამოვა ნახევარი მილიონი გასტარბატიერი. და კიდევ. რუსეთი რომ არ იყოს ასეთი მიმზიდველი ბაზარი ქართული ღვინისა და მინერალური წყლებისთვის - იმეგობრებდნენ ჩვენთან უბრალოდ „ლამაზი თვლებისთვის“? ძალიან მეექვსეა. ფულის გულისთვის ჩვენს მეგობრებად ბევრს უნდა გახდომა, აი უფასოდ კი - თითქმის არავის.

თუმცა, პირადად მე საქართველოს ვალმერთებ. იქ შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ, მის ქალაქებში იცინან, როგორ მიიღონ სტუმრები და შესანიშნავად ეპყრობიან რუსეთიდან ჩამოსულებს. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ადგილობრივი პოლიტიკოსები ნამეტანი თავგამოდებით იფურთხებოდნენ ჩვენს მხარეს, არ ფიქრობდნენ, რომ ფურთხი უკანვე დაუბრუნდებოდათ. დიახ, ნაკიდება გვეყოფა - მაგრამ რატომ მხოლოდ ჩვენ უნდა წავიდეთ დათმობაზე? დაე, თავად საქართველომაც დაადასტუროს საქმეებით თავისი სურვილი - იცხოვროს რუსეთთან, როგორც კეთილ მგზობელთან და არა როგორც ბაზართან ბორჯომისთვის. მართლ ლამაზი სიტყვები, მაპატიეთ, უკვე საკმარისი აღარაა...

გიორგი ფოტოვი

თბილისში მეკითხებოდნენ - თუ იგრძნობდა რუსეთში სირთულეები შვიდი წლის განმავლობაში საქართველოდან პროდუქტების არარსებობის გამო? მე გაუღწერე ფულად ვუპასუხებდი ხოლმე - „არა“. დიახ, ქართული ღვინო რეალურად შესანიშნავია. მაგრამ იგი ჩვენ ბაზარზე შეცვალა ფრანგულმა, ესპანურმა, ჩილეს ღვინოებმა. როგორც აღმოჩნდა, კრასნოდარის ღვინოც კი, რომელიც ვერაქამდე ვერც ვამჩნევდით, არაფრითაა იმაზე უარესი. მინერალური წყლები რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიიდან საკმარისზე მეტია, რომ გამოდევნონ ბორჯომი, ხილსა და ბოსტნულზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მოდით, შევხედოთ სიმართლეს თვალში. საქართველო პატარა რესპუბლიკაა ამიერკავკასიაში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესს არ წარმოადგენს. სტრატეგიული მნიშვნელობა? ჩვენ გვაქვს სამხედრო ბაზები სომხეთში. გაზი და ნავთობი? ისინი აქ არა აქვთ. მაშ, რა? ჩვენ მეტად ფლეგმატურად ვეპყრობით ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს (მოსახლეობის ასეთივე ოდენობითა და ტერიტორიების მოცულობით), მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებით ჩვენ ნებისმიერი წვრილმანი გულში გვხვდება - ლანძღვა, აბუჩად აგდებაც, ტელეპროპაგანდაც. ღმერთო ჩემო, უკრაინასთან რომ იყოს ეს ყოველივე დამოკიდებული, მაინც ნაკლებად გვეწყინს. ახლა, თბილისმა ოდნავ გამოგვიწოდა ხელი, ჩვენ თავ-ქუდმოგვჯელი მივრბობართ ხელის ჩამოსართმევად. მაგრამ ჩვენს შორის ყვე-

გვჭირდება საქართველო?

ნასუსს ამ კითხვაზე ჩვენი მიმოხილველი თბილისში აქვს

ნენ: „რატომ უყვართ რუსეთში საქართველო ასე?“, „ნუთუ?“, - გაცხებულ ვიყავი მე. - ჩვენ კარგად ვეპყრობით ქართველებს, მაგრამ არა უკეთ, ვიდრე თქვენ“. „აი, არ ხართ სწორი, - ვიუტობდნენ სომხები. - საქართველოს თქვენთან აღმერთებენ. ქართულ პოპულარულ სიმღერებსაც მღერისხართ, „ხვანჭყარასაც“ სვამთ, „მიმინოსაც“ უყურებთ. და როგორ ბრაზობთ, როდესაც ქართველებთან დავობთ პოლიტიკის გამო! სომხები კი რუსებს შეურაცხყოფას არ აყენებდნენ, რუსეთს არ ლანძღავდნენ, თქვენთან ომშიც არ ებმებოდნენ. რატომ ჩვენდამი არ გაქვთ ასეთი დამოკიდებულება?“

ამ გაზაფხულზე თბილისში ჩავედი და ბევრ ქართველთან მქონდა ურთიერთობა. კავშირი ვსვამდით რუსეთთან მეგობრობის სადღეგრძელოს და ვამბობდით - მთელს საქართველოს აქვს იმედი, რომ მალე ყინული გადნება, რომელმაც გაყინა ჩვენი სიყვარული სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. და აქ, პირველად ჩემ სიცოცხლეში, დავფიქრდი: მართლაც, რატომ ვებღაუჭებით ასე ძალიან საქართველოს?

„ხვანჭყარა“ და ოკუპანტი სტალინი

რუმორც კი თბილისში მთავრობა შეიცვალა, მოსკოვში უმაღლესი დიპლომატიის სახარტო ბაზარზე ქართული საქონლის სასწრაფო დაბრუნებისა და სხვა სასიხარულო ამბების შესახებ. იმის გარდა, რომ ჩვენს მალაზიებში გაჩნდება „ხვანჭყარა“, ბორჯომი, აგრეთვე, ბოსტნული და ხილი კავკასიის ველებიდან, კრემლში გვირდებიან განიხილონ საკითხი ვიზების გაუქმების შესახებ. მაგრამ ჩვენ თავიანთად ვუკრავთ თავს სამხრეთელ მეზობელს, ვემყარებთ მხოლოდ დაპირებებსა და ღიმილს - რუსეთთან კავშირურთიერთობათა მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ ყვავილოვანი ფრაზების გარდა, საქართველომ ჩვენთვის ჯერჯერობით არაფერი გააკეთა. ამ დროს თბილისში საქონელს რუსეთის ფედერაციიდან სანთლითაც ვერ მოძებნი, სამაგიეროდ, სუპერმარკეტები სავსეა უკრაინული არყით, ყველითა და არაყნით. დასკვნის გაკეთება ადვილია - ჩვენი ეკონომიკური თანამშრომლობა ხელსაყრელია მხოლოდ ერთი მხარისთვის. საინტერესოა, რისი გულისთვის ვისწრაფვით შერიგებას, თითქოს ერთ დღესაც ვერ გავძლებთ უსაქართველოდ?

- სწორედ თქვენი დიდი თვალწაცობები ყურადღების გამო ქართველები დარწმუნებული არიან - რუსეთი უმათოდ ვერ გაძლებს, - მიაჩნია 52 წლის თბილისელ ბიზნესმენს ვახტანგ გაფრინდაშ-

თბილისში მეკითხებოდნენ - თუ იგრძნობდა რუსეთში სირთულეები შვიდი წლის განმავლობაში საქართველოდან პროდუქტების არარსებობის გამო? მე გაუღწერე ფულად ვუპასუხებდი ხოლმე - „არა“. დიახ, ქართული ღვინო რეალურად შესანიშნავია. მაგრამ იგი ჩვენ ბაზარზე შეცვალა ფრანგულმა, ესპანურმა, ჩილეს ღვინოებმა. როგორც აღმოჩნდა, კრასნოდარის ღვინოც კი, რომელიც ვერაქამდე ვერც ვამჩნევდით, არაფრითაა იმაზე უარესი. მინერალური წყლები რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიიდან საკმარისზე მეტია, რომ გამოდევნონ ბორჯომი, ხილსა და ბოსტნულზე რომ აღარაფერი ვთქვათ.



ბოგორდის ახანოები თბილისში, სადაც ოდნავა უკუიწინ ბანაობდა

დედაჩინის ჯურჯა



აშუ-ში ჩაფიქრდნენ: დაზარალებული 25 წლის შემდეგ რუსები აზღვანეთში ბრუნდებიან

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო ნატოსთან განიხილავს ავღანეთში საბრძოლო ტექნიკის რემონტის რუსული ბაზების შექმნის საკითხს - იქ უკვე არის ამ ტექნიკის რამდენიმე თაობა. თუმცა, რუსეთში არ მალავენ, რომ გეგმის მთავარი მიზანი არის ყოველდღე ცუდისთვის დაბრკოლების აღმართვა, რაც ამ ქვეყნიდან შეიძლება წამოვიდეს 2014 წელს ამერიკელების წასვლის შემდეგ.

აშუ-ს ახალი ილჩი იბაბუნიაში ჯონ კენედის ძალიან იმედი გახდა

თუმცა, თერ სახლში ჯერჯერობით ეს არ დაუდასტურებიათ, მაგრამ არც უარუყვიათ ცნობა ნიწლის კეროლიან კენედის შესაძლებელი დანიშნვის შესახებ. თუმცა, იაპონიის მთავრობაში ამის შესახებ საუბრობენ როგორც უკვე მომხდარ ფაქტზე. ოფიციალური დამტკიცების შემთხვევაში, იგი გახდება ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი ქალი - ელჩი იაპონიაში.



კვირცხვანის ბაზრობის შემდეგ ოზამა დაპატიმრდა მტრული ბავშვი, თავად კი კალათაშობით ათი წლის ბავშვთან წაბაბო



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თერ სახლში აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით მიიღო 30 ათასზე მეტი სტუმარი. ის ეჯობებოდა ბავშვებს სააღდგომო კვერცხების გორებაში მის კოვზით და დამამშვიდებლის როლშიც კი გამოვიდა ხუთი წლის ბავშვთან, რომელსაც უფრო ნაკლებად უმართლებდა, ვიდრე პრეზიდენტს. მაგრამ მოგვიანებით ოზამასაც ელოდა წარუმატებლობა: მან ვერ შეძლო ჩაეგდო ბურთი კალათში 17 სროლის შემდეგ.

რუსეთის საბარტო სამართა სამინისტრომ არ გამოკრიცხა მიწი-ში კორაპი: დაიწყება შემთხვევითი, რუმისაც მიწის ნორმაში უმტყუნებს

მოსკოვში ეჭვი ეპარებათ, რომ მოკონფლიქტე კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ კორეას შორის რომელიმე მხარე შეძლებს ცენსლის გახსნას პირველი. „მაგრამ დიდია უნებლიე შეტაკებათა საფრთხე“, - მიაჩნიათ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ასეთი აზრის არიან ექსპერტებიც, თუმცა, აღიარებენ, რომ სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც არიან ამ ომით დაინტერესებულნი.

რუსეთი მაღალი მიწის დროს კარგად გამოიფუჭება, მათთვის მიაგაზონებათნან საბრძოლველად შეიარაღების მიმდევით

აფრიკის ამ სახელმწიფოს ხელისუფლებამ სთხოვა მოსკოვს მიაწოდოს შევუმფრენები მი-35 და მი-17, საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავები, ჯავშანტრანსპორტიორები ბტრ-80, შავრსანიანაღმდეგო თავდაცვისთვის რადიოლოკატორები, გავცნობა წყარო რუსეთის თავდაცვის ექსპორტში. მთავრობა დაინტერესებულია მსუბუქი სახარლო შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და ძველი სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების მიწოდებით.

მეხვედრა ცნობილ ადამიანთა შვილებთან

— აბრამსონი იმ ორგანიზაციაში, სადაც მე ვმუშაობდი, აფსაზები სტუმრობდნენ, მათ შორის ჟურნალისტებიც, ჩვენც ვსტუმრობდით მათ და რუსულ ენაზე გაზეთიც გამოცემოდა, რომელიც სოსუმსა და ცხინვალში იგზავნებოდა. აგვისტოს ომის დროს ორი ქართველი ჟურნალისტი დაიღუპა. ისინი, ვინც ამ გაზეთთან თანამშრომლობდნენ, აფსაზეთიდან განდევნილი ჟურნალისტები სახლიდან გაგდებულნი იყვნენ...

— ალბათ 30 წლის შემდგომ დამეგობრება აუცილებლად მოხდება. დღეს ეს წარმოუდგენელია. ისევე როგორც წარმოდგენელი იყო სტალინის დროს უცხოეთში გამგზავნება. სტალინის დროს და მეგრეც სსრკ დასურული ქვეყანა იყო, ჩვენ არაფერი ვიცოდით გარე სამყაროს შესახებ. ჩემთვის ყველაფერი ახალი იყო, ადამიანებთან ურთიერთობა, ხალხი ქუჩაში.

— ხრუშჩოვმა ბრიტანეთის პრემიერის ცოლს ისეთი რამ უთხრა, რომ ქალი შოკიდან დიდხანს ვერ გამოვიდა...

— კი, ასეთი რამ მართლაც მოხდა. მაშინ ძალიან მძიმე და საგანგაშო სიტუაცია იყო. ნატო უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სსრკ. არსებობდა რეალური საშიშროება იმისა, რომ ამერიკა სსრკ-ს თავს დაესხმებოდა. ამიტომ მამაჩემმა ერთ-ერთ მიღებაზე ინგლისის პრემიერის ცოლს ხუმრობით ჰკითხა — ლონდონის განადგურებას რამდენი ბირთვული საბრძოლო მუხტი ეყოფა? მაშინ სერიოზულად განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი ბომბი იყო საჭირო სსრკ-ის განადგურებლად, რომელი და რამდენი ქალაქი უნდა დაეზომებოდა, ამერიკის სტრატეგიული ავიაციის თავგადასავალი კი პრეზიდენტისადმი გაგზავნილ ანგარიშებში ქვეყნის თავდაცვა არწმუნებდა, რომ საჭიროა სსრკ-ს მანამ დაესხა თავს, სანამ გვიან არაა... ამიტომაც იხუმრა ასე ხრუშჩოვმა, რითაც დასაველეს დაემუქარა, რომ სსრკ ისე აკეთებს რაკეტებს „როგორც სოსისებსო“. სინამდვილეში კი მთლად გულახდილი თუ ვიქნები, ასე თქვა — „როგორც ძხვებსო“. ქალი იატაკზე არ ჩაიკეცა, მაგრამ შოკი კი ჩავარდა. ხრუშჩოვმა ჩვენ 5 ატომური რაკეტა გვაქვსო, არადა იმ დროს ერთი რაკეტა გვქონდა, რომელიც ბრიტანეთს ვერც მიაღწევდა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ხრუშჩოვი არც აპირებდა ბრიტანეთზე თავდასხმას. უბრალოდ, ეს იმისთვის თქვა, რომ მტერი შეეშინებინა.

— თქვენ ამჟამად ნიკიტა ხრუშჩოვი დაასრულეთ. დაეთმოთ თუ არა იქ ადგილი ხრუშჩოვის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებაში სიმინდის მნიშვნელოვანი როლის დასაბუთებას?

— მამაჩემს არსად, მათ შორის საქართველოშიც, სიმინდი ძალიან არ „მოუყვანია“. სიმინდის კულტი ძირითადად პლანტაციებზე გაჩნდა, თორემ საქართველოში რამდენი სიმინდიც იყო მამაჩემამდე, იმდენივე დარჩა. საუბარი იყო რუსეთის ჩრდილოეთ მინებზე, სადაც ადრე სიმინდი არ მოდიოდა და ცხოველების გამოსაკვები სიმინდის მოყვანაზე. ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ხრუშჩოვი საქართველოში, მოლოდინებსა და უკრინაში სიმინდს ხორბლის მაგივრად თესდა, ესეც იმ ხალხის მიერ შეთხზული ზღაპრებია, ვისაც სოფლის მეურნეობის არაფერი გაეგება. იმისთვის, რომ ხორცი გქონდეს, მსხვილი რქოსანი პირუტყვი უნდა კვებო, ხოლო იმისთვის, რომ რქოსანი გამოკვებო, სიმინდი უნდა მოიყვანოს. ეს კულტურა ყველაზე პროდუქტიულია. ვინ აკრიტიკებს „ხრუშჩოვის სიმინდს“? ჟურნალისტები, დიპლომატები, კინოკრიტიკოსები. ხალხს არ ესმის, რომ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო. სიმინდს სჭირდება მიწის შემოყვრა, დაღწევა და ა.შ. გლეხებმა კი ეს უარყოფითად მიიღეს. სიმინდის წინ წაწევა ძალიან მტკივნეულად მიმდინარეობდა. თუმცა, ეს პროცესი ნაკლებად პრობლემური იყო, ვიდრე კარტოფილის დანერგვა, რომლის მოშენებასაც ეკატერინე II-მ მოჰკიდა ხელი. მაშინ ამბობდები, კი დაიწყო. თუ ჩვენ რუსეთის სოფლის მეურნეობის ისტორიას გავიხსენებთ, XI საუკუნის ბოლომდე რუსი გლეხი კარტოფილს საერთოდ არც კი სცნობდა. დღეს ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ კარტოფილს მავნე მცენარედ თვლიდნენ. სიმინდამდეც ასე იყო... როცა თქვენ ხალხს ახალ კულტურას სთავაზობთ, იწყება გაუცხოება. საქართველოში ამდგავარი რამ არ მომხდარა. ვიცი, რომ საქართველოში იმის შესახებ საუბრობენ, რომ ხრუშჩოვმა ბრძანა ამოეჭიკვია ყურძენი და სიმინდი დაერგო. ეს სრული ბოდიშია! ხრუშჩოვი პირიქით, ყურძენს ყველგან რგავდა, სადაც კი შეეძლო, სიმინდთან ერთად. მაშინ სიმინდი ყირიშში, სამხრეთ უკრაინაში, ყველგან მოჰყავდა...

— „სიმინდიზაციისა“ და „პაციფისტების“ გარდა ნიკიტა ხრუშჩოვის ძის გვარი სამშენებლო ინდუსტრიაშიც სამუდამოდ დარჩა — „ხრუშჩოვები“. თუმცა ეს უკანასკნელნიც მისი ინოვაცია არ გახლდათ. ნიუ-იორკის ძვირადღირებული მანქანების საცხა ამგვარი დაბალიერების „ხრუშჩოვები“...

— როცა ხრუშჩოვი ხელისუფლებაში მოვიდა, ხალხი „კომუნალკებსა“ და საკუჭნაოებში, არადამიანურ პირობებში ცხოვრობდა. მან განაცხადა, რომ სახელმწიფოს უნდა შეემუშავებინა აფფასიანი, თუნდაც დროებითი, პანელური, ხუთსართულიანი სახლების სერიული წარმოების ტექნოლოგია და „ხრუშჩოვების“ მშენებლობაც სწორედ მაშინ დაიწყო. მათი მშენებლობა კი ხრუშჩოვის პერიოდშივე შეწყდა და მერე 9-12-სართულიანი კორპუსების აგება დაიწყო. ბრენენის დროს რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიარაღებაზე მიდიოდა, „ხრუშჩოვების“ მშენებლობის დროს კი ასე არ იყო. ეს ბინები არც ბარაკები იყო და არც კარგი საცხოვრებელი: ეს გახლდათ განსაზღვრული დროის მონაკვეთისთვის პრობლემის გადაწყვეტის საშუალება. რასაკვირველია, მაღალბარისხიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაწყებაც შეიძლებოდა, მაგრამ ასეთი ბინები მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ხალხისთვის აშენდებოდა, ყველა დანარჩენი ხომ ძალიან ცუდ პირობებში დარჩებოდა. ამიტომ ითვლებოდა, რომ რაღაც პერიოდისთვის, მაგალითად, შემდეგ 20 წლის განმავლობაში ხალხი ამ ხუთსართულიანებში იცხოვრებდა, მერე კი 1970-იანებში ისინი უნდა დაეგრიათ. ამისთვის მშენებლობაში მეტი ფულის ჩადება იყო საჭირო. მაგრამ როცა ბრენენის დროს სიმინდის მთელი ძალა სამხედრო ხარჯებზე გადავიდა, რასაკვირველია, ფული

სამშენებლო ბიზნესისთვის საკმარისი არ იყო. „ხრუშჩოვები“ დიდი ხნის წინათაც უნდა დაეგრიათ — მოსკოვში ისინი უკვე დაანგრეს. რაც შეეხება მანქანების, „ხრუშჩოვებს“: თქვენ რა გგონიათ, მამაჩემმა „ხრუშჩოვების“ დიდა საიდან მოიტანა? ამერიკიდან. ამერიკაში რასაკვირველია, მაღალჭერიანებიცაა. ნიკიტა სერგეის ძე კი ამბობდა, რომ თუ ჩვენ მაღალჭერიანს არ ავაშენებთ, სიმალღეს შევამცირებთ, ამით თანხას დავზოგავთ და დამატებით 100 ისეთ ბინას ავაგებთ, რომლის გათბობაზეც ნაკლები თანხა დაიხარჯებაო. იმისთვის კი, რომ ისტორიაში დარჩე, „ხრუშჩოვები“ კი არა, სახლებები და პარკები უნდა აშენო და ყველას დაანახო თუ რა შეგიძლია.

— ოლიგარქების საყვარელი საქმიანობაა „გრანდიოზა“ სახსრების მშენებლობა და ყიდვა...

— ჰოდა, მათ არასოდეს დაივიწყებენ.

— საქართველოში მამათქვენის სახელი მართლ „ხრუშჩოვები“ დაკავშირებით არ მოიხსენიება. 1956 წელი...

— სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი კულტის დაშობის გამო ქართველები თბილისში მისი სახელის დასაცავად გამოვიდნენ. მასსოვს, ზვიად გამსახურდია პირველად ჰორი-

სერგეი ხრუშჩოვი: მე იბპარიული ადამიანი ვარ...



ზონტზე სწორედ მაშინ გამოჩნდა. თბილისში უმართავი ბრბო ბობოქრობდა, სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდა, ბრბო რადიოსადგურის მტრულად აღებას ლაპობდა, ამიტომაც ხელისუფლება იძულებული იყო თბილისში ჯარი შეეყვანა და ამას ორი ადამიანის სიცოცხლე შეენიარა.

— ბატონო სერგეი, გაცილებით მეტი იყო დაღუპული და კიდევ უფრო მეტი — დაჭრილი...

— მე ვიცი, რომ მხოლოდ ორი დაიღუპა. რასაკვირველია, დემონსტრაციის დარბევის გადაწყვეტილება ხრუშჩოვმა მიიღო. ამგვარ გადაწყვეტილებას მხოლოდ ქვეყნის პირველი პირი ღებულობს ხოლმე. მაგრამ თუ იმ მომენტში ის კი არა სხვა ღებულობს ამგვარ გადაწყვეტილებას, მაინც ქვეყნის პირველი პირია პასუხისმგებელი. ბარაკ ობამა ყოველთვის აცხადებს: ყველაფერზე პასუხისმგებელი მე ვარო. გორბაჩოვმა კი უპირიქით პასუხისმგებლობა აიცილა და განაცხადა: არ ვიციო, მერე ურეაქციანობა აიცილა პასუხისმგებლობა და არ ვიციო არაფერი, მხოლოდ ისო, რომ ყველაფერში დამანაშავე გენერალიაო. ეს უპასუხისმგებლო განცხადებაა.

— თქვენ აცხადებთ, რომ მამათქვენი გადააყენეს...

— ბიუროკრატია ხრუშჩოვით კმაყოფილი არ იყო. მათ მამაჩემი, როგორც თავად ამბობდნენ, მხოლოდ სტაბილური ბიზნესის უნდოდათ. მერე მოილაპარაკეს, ცენტრალურ კომიტეტში შეიკრიბნენ და ნიკიტა სერგეის ძე იმ დროსთვის დემოკრატიული წესით ყველა პოსტიდან გადააყენეს. მამაჩემი ამბობდა, რომ მე თუ მხოლოდ ერთი რამ გავაკეთე ცხოვრებაში, რომ სახელმწიფოს პირველი პირი სისხლისღვრის გარეშე გადადგა, ჩავთვლი, რომ ჩემი ცხოვრება ტყუილად არ მიტოვებიაო. სტალინის დროს ამგვარი რამ შეუძლებელი იყო. სტალინის დროს ეს სისხლიანი შეთქმულება იქნებოდა. მამა უსისხლოდ გაათავისუფლეს, მისი მოკვლა ვერ შესძლეს, როგორცადაც ეს რუსეთის ისტორიაში ხდებოდა ხოლმე, მაგრამ მას ყოველანაირად აკონტროლებდნენ, მის წერილებს კითხულობდნენ, უცხოეთიდან მოსულებს არ აკითხებდნენ და ამიტომ მამაჩემთან იმ უცხოელ პოლიტიკოსებს, ვისაც იგი იცნობდა, დაკავშირების საშუალებას არ აძლევდნენ. როცა ნიქსონი მოსკოვში ჩავიდა, მას ხრუშჩოვთან უნდოდა შეხვედრა, მაგრამ განუცხადეს, რომ ნიკიტა სერგეის ძე სადღაცაა გამგზავრებული, მოგვეცით თქვენი წერილობითი გზავნილი, ჩვენ მას გადავცემთო. მამაჩემს კი იგი ნიქსონის თვითმფრინავის აფრენიდან სამი საათის შემდეგ გადასცეს.

მერე „ოტტეპელი“ დასრულდა. ბრენენის დროს, 1975 წლის 14 მარტს, მხატვრების ნაშუაგვრებს ბულოდოვროთა გადაუარეს, არადა სწორედ ხრუშჩოვის დროს მიეცა მხატვრებს იმის სტიმული, რომ ამგვარი გამოფენა მოეწყობა. მაშინ ერნსტ ნეიზესტნი ამ გამოფენაზე არ წასულა, იგი

ხრუშჩოვის სიკვდილის შემდგომ ნიღაბზე მუშაობდა.

— ბოლო წლებში ყველაზე მეტად რას ნანობდა?

— ძალიან განიცდიდა იმას, რომ ყველა მისი რეფორმა უკუსვლით წავიდა, რომ სამხედრო ხარჯებზე ძალიან დიდი თანხები იხარჯებოდა. მამაჩემი ეიზენჰაუერივით თვლიდა, რომ სამხედრო ხარჯების გაზრდა არის სახელმწიფოსთვის საზარალი, რომ საჭიროა მხოლოდ თავდაცვითი შეიარაღების შენარჩუნება. მეტი საჭირო არაა, რადგან ამას სახელმწიფოს წგრევა მოჰყვება. რასაკვირველია, მამაჩემი პაციფისტი არ იყო. პაციფისტები ხომ სამხედრო ხარჯებზე საერთოდ უარის თქმას ემხრობიან. ეიზენჰაუერმა თავის ყველაზე ცნობილ სიტყვაში, რომელიც მან თეთრი სახლის დატოვების დროს წარმოთქვა, განაცხადა, რომ საომარი სამხედრო კომპლექსის მიერ ძალაუფლების ჩაგდება ამერიკელი ხალხისთვის დამღუპველი იქნება. მე ბუშს იმტობ კი არ ვაკრიტიკებდი, რომ იგი რესპუბლიკელია, არამედ იმიტომ, რომ მისი პოლიტიკა, ისევე როგორც ბრენენის პოლიტიკა, თავისი ქვეყნისთვის დამანგრეველი იყო: ეს უაზრო ომები, რომელსაც სახელმწიფომ თავი ვერაფრით დააღწია; სამხედრო ხარჯების გაზრდა, მაშინ როცა ეს სახსრები ინფრასტრუქტურის განვითარებას შეიძლება მოხმარდეს. ბუშს ეგონა ავტორიტეტს ძალით მოიპოვებდა. ავტორიტეტი მხოლოდ ჭკუით შეიძლება მოიპოვოს.

— ჰო, მაგრამ თავდაცვითი შეიარაღება მტრის თავდასხმის სრულყოფის პარალელურად თუ არ ვითარდება, მის არსებობას საერთოდ ეკარგება აზრი...

— მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ის რაც საბჭოთა პატრიოტი გახლდათ, რომელსაც სწამდა, რომ რეფორმების შედეგად ყველაზე ძლიერი სახელმწიფო სსრკ იქნება და მთელს მსოფლიოში მხოლოდ მასზე იქნება სწორება. ამერიკელებიც პატრიოტები არიან. დღეს ვინაა ამერიკელებზე მეტად პატრიოტი? არავინ. ეს ის ქვეყანაა, სადაც დემოკრატია და პატროტიზმი ძლიერადაა გადაჯაჭვული. II სექტემბრის შემდეგ ამერიკა უფრო მეტად დემოკრატიული გახდა, ვიდრე რუსეთი და საქართველო ერთად აღებული.

— ბატონო სერგეი, ჩვენი საუბრის დასასრულს არ შემიძლია არ გკითხოთ გაეროს სხდომაზე მამათქვენის „საფეხსაცმელი“ პროტესტის შესახებ...

— მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ის რაც ხალხმა ნახა, არის მონტაჟი! თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ეს მონტაჟია: ხელსა და „ყელიან ფეხსაცმელს“ შორის არის ბაცი, გადაღბნილი ლაქა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ფოტომონტაჟია. თანაც უხარისხო. არც ერთ სერიოზულ ადამიანს ამის არ სჯერა!

— ფეხსაცმელი არსად ფიგურირებდა?

— სდომო ფილიპინელს მიჰყავდა. მერე იგი თანდათან ფეხბურთის მატჩს დაემგავსა: კოლონიზატორი ქვეყნების წარმომადგენლები სიტყვით გამოდიოდნენ, ხოლო ანტიკოლონიზატორები ყვიროდნენ. როცა დაპრობოლი ქვეყნების წარმომადგენლები გამოდიოდნენ, იმ დროს კოლონიზატორები გაჰყვიროდნენ. ფილიპინელების წარმომადგენელმა კი თქვა — აი, ჩვენ ამერიკის კოლონია ვიყავით, ეს ჩვენ ძალიან მოგვწონდა, რადგან კარგად ვცხოვრობდითო, მაგრამ ახლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სსრკ-ის კოლონიური დამოკიდებულებისგან უნდა გავათავისუფლოთო. ამ დროს ტრუბუნასთან რუმინეთის მინისტრი გამოვიდა და დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ ეს უშეგავსებელია, ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყნები ისედაც ვართო, ჩვენ კოლონიები კი არა, გაეროს წევრები ვართო და რატომ გავაყენებთ შეურაცხყოფასო?! შწორედ ამ სდომის დანყებად, როცა ხრუშჩოვი დარბაზში შედიოდა, ერთმა ჟურნალისტმა მას სადაღალე დააჭირა ფეხი, მას იგი გაძვრა. რადგანაც მამაჩემი მსუქანი იყო და უკვე მოხუციც, მას დახარა და მისი ჩაცმა არ შეეძლო, სანდალი იქვე დატოვა. ფეხსაცმელი მას მოგვიანებით მიუტანეს იქ, სადაც იჯდა. როცა ფილიპინელების წარმომადგენელმა ზემოთქმული განაცხადა, ხრუშჩოვმა ხელი ასწია და თქვა, რომ მასაც აქვს საპროტესტო სიტყვის თქმის საუბარი. გაეროს თავმჯდომარე კი ირლანდიის ელჩი იყო და ის, რასაკვირველია, მხოლოდ თავის გუნდს გულშემატკივრობდა. იგი თავს იკატუნებდა, თითქოს ხრუშჩოვს ვერ ამჩნევდა. მამა ერთ ხელს იქნევდა, მეორე ორივეს, მაგრამ რახან ყურადღებას არ აქცევდნენ, სანდლის ქნევა დაიწყო, მერე მაგიდაზე დააკაუნა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს სიტყვა და ყველაფერი ამით დამთავრდა. სხვა ისტორია ფეხსაცმელზე დაკავშირებით არ არსებობს. ფილიპინელს კი მიამახა: „ხალხი იმპერილიზმა!“ ფილიპინელმა განაცხადა, რომ გაეროს ანგარიშში ამ სიტყვის განთავსება არ შეიძლება. მაშინ რა ჩვენოთო? ფილიპინელმა მოდიოდა „ხალხი“-ს მაგივრად „ლაკეი იმპერილიზმა“ ჩავენოთო. მერე, როცა ხრუშჩოვი თავის ადგილს დაუბრუნდა, იგი არა მისთვის განკუთვნილ სკამზე, არამედ ტრიბუნასთან ახლომასლო დაჯდა, გაეროს სომხური წარმომომის ფრანგ თანამშრომლის გვერდით (მას რუსული ესმოდა) და სწორედ მან მიამბო ეს ამბავი. მამაჩემს უთქვამს, ალბათ, ვილაც რაღაცა სისულელეს კვლავ იტყვისო, ისევე მომიწევს ტრიბუნასთან გასვლა და ჯობს თქვენთან ვიჯდეო. მერე საუბარიც გააბედა. ერთად სადღობისას ამ კაცს ხრუშჩოვისთვის უთქვამს — ეს თქვენ ძვირი დაგიჯდებათო, ამერიკელები თქვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ ამასო და მათაც გამოიყენეს.

— თუ ეს სიყალბე იყო (თუმცადა, როგორც ჩანს, მაგიაზე ფეხსაცმელის კაკური არც მთლად გამოცდილი ამბავი ყოფილა), ხრუშჩოვმა მონტაჟი ოფიციალურად რატომ არ გაპროტესტა?

— მას ეს ისტორია დაავიწყდა. ანდა პროტესტი როგორ უნდა გამოეხატა? ეს ინფორმაცია The Associate Press-ში განჩადა და იგი ამ სახით გავრცელდა. ასეთი სიტუაცია უნდა იყო. მედია სხვა ქვეყნებზე რასაც უნდოდა, იმას წერდა. სსრკ-სა და ამერიკას შორის არანაირი შეთანხმება არ არსებობდა და საპროტესტოდ ვის მივმართავდი? იმ დროს ამერიკა და სსრკ სხვადასხვა სამართლებრივ სივრცეში იმყოფებოდა. არ არსებობდა იმის მცირედი შესაძლებლობაც კი და, მით უმეტეს პრაქტიკა, რომ ასეთი ცილისწამების გამო სასამართლოში გეჩივლა...

იხ მერკვილაძე, ნიუ-იორკ-პროფესორი, აშშ









ყრილობის წინ

სეოკ-ის აღმასკომი და ორი იუბილე

ბანიმბრთს სეოკ-ის აღმასკომის სხდომა, სადაც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დღის წესრიგში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესიის მოწვევის საკითხიც იდგა, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 2014 წელს სოჭში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ. აღმასკომმა ყრილობის თარიღად 2 მაისი დანიშნა.

რეტის მომდევნო თამაშები 2015 წელს თბილისში ჩატარდება. პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა აღმასკომის წევრებს უურნალ „ოლიმპიელის“ აღდგენის თაობაზე აცნობა, რომლის გამოცემაც 2009 წელს შეწყდა. უურნალის მთავარი რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი იქნება და იგი წელიწადში ორჯერ გამოვა. ბერიშვილისვე თქმით, 23 ივნისს, საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით იგეგმება



„საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში პასუხის დაფიქსირების ვადა 7 მაისს იწურება, სეოკ-ის რიგგარეშე სესიის კირამდენიმე დღით ადრე ჩავატარებთ და გიონად გასამართ ზამთრის ოლიმპიადაზე მონაწილეობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ. ყველაფერი პროცედურული ნორმების დაცვით გაკეთდება. ჩავატარებთ კენჭისყრას, რომელშიც 59 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას და გადამწყვეტილებასაც ამის მიხედვით გამოვიტანთ.“ – განაცხადა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა ხაბარელმა აღმასკომის წევრებს მოკლედ გააცნო თებერვალში რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში გამართულ ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ფესტივალზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლის შედეგები, ხოლო ზაფხულის ანალოგიურ თამაშებზე, რომელსაც მიმდინარე წლის ივლისში ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტი უმასპინძლებს, სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზო ზენიშვილმა ისაუბრა. ქართველი სპორტსმენები ფესტივალის პროგრამაში შეტანილი 9 სახეობიდან ექვსში იასპარეზებენ. შეგახსენებთ, რომ უტ-

სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. აღმასკომზე იმსჯელეს საქართველოს სეოკ-ის ფედერაციის აღმასკომის შესახებაც, რომელიც 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის კანდიდატა შორისაა. სეოკ-ის აღმასკომის სხდომის დასრულებისთანავე გაიმართა სიმალღებზე ხტომაში რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რობერტ შვავლაყაძის 80 და წყალბურთში ამავე ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ლერი გოგოლაძის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. იუბილარებს პირველმა ლერი ხაბელოვმა მიულოცა და სეოკ-ის სიგელით დააჯილდოვა. სახელოვან სპორტსმენებს ეს ღირსშესანიშნავი თარიღები მიულოცეს მძლეოსნობისა და წყლის სახეობათა ფედერაციათა პრეზიდენტებმა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა. საპატრიარქოს წარმომადგენელმა დამსწრეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მილოცვის წერილი გააცნო.

გიორგი შოთაძე

ჭაღრაპი

ბანახლეული რეიტინგით

ფიდეშ პირველი აპრილისთვის მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ქალთა ათეულში მეშვიდე ადგილზეა ქართველი დიდოსტატი ნანა ძაგნიძე. ასეულს უწინდებურად უნგრელი იუდიტი პოლგარი (2696) ლიდერობს. მას 79 პუნქტით ჩამორჩება ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუიფანი (ჩინეთი, 2617). 2597 პუნქტით მესამე ადგილი ჰქონდა კონერუს (ინდოეთი) უკავია. ათეულში მომდევნო ადგილებზე არიან: ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2585), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2565), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2550), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2545), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2531), მარი სეზატი (საფრანგეთი, 2527), ანტონანეტა სტიფანოვა (ბულგარეთი, 2525).

პირველ ასეულში დანარჩენ ქართველთა მაჩვენებლები ასეთია: 19. ბელა სოტენაშვილი (2492), 34. ლელა ჯავახიშვილი (2464), 48. ნინო სურგულიძე (2428), 51. სალომე მელია (2423), 53. სოფიო გურამიშვილი (2421), 67. ნინო ბაკიაშვილი (2394), 69. ნაზი პაკიძე (2392), 77. სოფიო სურსაშვილი (2386). ვაჟებში ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი (2872) მეწინავეობს. მეორე-მესამე ადგილებზე არიან სომეხი ლევონ არაბიანი (2809)

და რუსი ვლადიმირ კრამნიკი (2801). შემდეგ მოდიან: თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793), სერგეი კაზინი (რუსეთი, 2786), ვიშვანათი ანანდი (ინდოეთი, 2783), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2772), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2771), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2767), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2766). გალელ ბაადურ ჯობავას 2702 პუნქტით 47-ე ადგილი უკავია. ქართველ ვაჟთაგან ასეულში სხვა არავინაა.

გივი ბაბუა

რაზმი

მეექვსე ადგილს დასჯარდნა

საზრუნველთა დამთავრდა 18 წლის მორაგბეთა ევროპის პირველობა. ფინალურ ეტაპზე მედლებისთვის რვა გუნდი იბრძოდა, მათ შორის – საქართველოს ნაკრები. მეოთხედფინალში ირლანდიასთან დამარცხების შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა იტალიელებს სძლიეს და მე-5 ადგილზე გასვლის შანსი შეინარჩუნეს, თუმცა გადამწყვეტი პაექრობა უელსელებთან 0:50 დათმეს და მე-6 ადგილს დასჯერდნენ. ჩემპიონობა ინგლისელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში მასპინძლებს მოუგეს – 27:20. ბრინჯაოს მედლები შოტლანდიელთა მძლეველ (40:0) ირლანდიელებს ერგო.



ცურვა

საფუძველს აქედანვე უყრიან

შპრზან წლის მიწურულს 1999-2000 წლებში დაბადებული მოცურავე ბიჭებისა და 2001-2002 წლებში დაბადებული გოგონების (2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში სწორედ ამ ასაკის მოცურავეები იასპარეზებენ) სასწავლო შეჯიბრებაში ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 130-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მსგავსი მასობრივი შესარჩევი ტურნირები სხვა დროსაც არავრთხელ გამართულა. მიზანი ოლიმპიური ფესტივალისთვის კონკურენტუნარიანი გუნდების ჩამოყალიბება და მომზადებაა როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის. სანჯლოსნო სახეობათა ეროვნულ ფედერაციას ნიჭიერი და იმედისმომცემი სპორტსმენებისთვის სარეიტინგო სისტემა აქვს შექმნილი. ვინც საქართველოს ცურვის კლასიფიკაციით მე-3 თანრიგის ნორმატივს მაინც ასრულებს, ოფიციალურ შეჯიბრებებშიც მხოლოდ მათ უშვებენ. ამიტომაც ამას წინათ თბილისის ღია პირველობაში 60-მდე გონამ და ბიჭმა მიიღო მონაწილეობა. სპარეზობას „ტონუსის“ საცურაო აუზში უმასპინძლა. რეიტინგით 12 დანინაურებული სპორტსმენი (სამი გოგონა და 9 ბიჭი) აპრილის მიწურულს ბელარუსის ქალაქ პოლოცკის დიდ საერთაშორისო ტურნირზე ბელარუს, უკრაინელ, რუს, ლიტველ და გერმანელ თანატოლებს დაუპირისპირდნენ.



გულაღმა. 1. გიორგი ხვედელიძე („ტონუსი“, 1:12,53), 2. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 1:15,06), 3. სანდრო მამულაშვილი („ვაკე“, 1:16,38). 200 მ. თავისუფალი. 1. ვახტანგ ბლუაშვილი („ტონუსი“, 2:20,81), 2. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 2:31,59), 3. დამირ ჩინჩაძე („ვაკე“, 2:33,31). ბრასი. 1. ილია პაპიძე („ლაგუნა ვერე“, 2:49,73), 2. ლევან ბახტურიძე (საჩხერე, 2:54,04), 3. რატი კერვალიშვილი („ტონუსი“, 3:01,49). გულაღმა. 1. გიორგი ხვედელიძე („ტონუსი“, 2:34,40), 2. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 2:41,87), 3. სანდრო მამულაშვილი („ვაკე“, 2:43,19). კომპლექსური. 1. ირაკლი კვარცხელია (2:27,20), 2. საბა მდივანი (ორივე – „ტონუსი“, 2:39,95), 3. ნიკა კაციტაძე (საჩხერე, 2:43,66). 400 მ. თავისუფალი. 1. ვახტანგ ბლუაშვილი („ტონუსი“, 5:07,00), 2. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 5:11,81), 3. გიორგი ბახუტაშვილი (რუსთავი, 5:45,25). კომპლექსური. 1. ირაკლი კვარცხელია („ტონუსი“, 5:11,60), 2. ვლადიმერ ტერლეცკი (გორი, 5:39,25), 3. ლუკა პატარაია (რუსთავი, 5:47,76). 4X50 მ თავისუფალი (შერეული). 1. რუსთავი (2:06,94), 2. „ტონუსი“ (2:08,27), 3. საჩხერე (2:20,89). 4X50 მ კომბინირებული (შერეული). 1. „ტონუსი“ (2:20,73), 2. რუსთავი (2:23,69), 3. „ვაკე“ (2:29,15).

ლემსო ცინცაძე

სურათში: მარცხნიდან – ირაკლი კვარცხელია, მერი მუმლაძე, რუსუდან გოგინაშვილი და ილია პაპიძე.

საგზურაპისთვის - ტიტულის შეყვანაში

გაუშინ მწვრთნელ ირინა მინულინას ხელმძღვანელობით საქართველოს მოცურავეთა ნაკრების ოთხი წევრი პოლანდისა გაემგზავრა. ირაკლი ბლუაშვილი, დავით სხარულიძე, თეიმურაზ კობახიძე და ირაკლი რევიშვილი 4-7 აპრილს ეინდჰოვენის თასზე იასპარეზებენ. ეს ტურნირი 2013 წლის მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის (ბარსელონა) სალიცენზიო შეჯიბრებაა და, იმედია, ჩვენი სპორტსმენები ტიტულის ქვეყნიდან ხელდამშვენებული დაბრუნდებიან.

სინქრონული ცურვა

„შესვენება“ დამთავრდა

ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენთან სინქრონულ ცურვაში შეჯიბრებები არ გამართულა, არადა, იყო დრო, ქართველ სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებიდან ჩამოშორება შეეძლო.



და აი, ყოფილმა სინქრონულად მოცურავეებმა მისი აღორძინება გადამწყვეტეს. გუშინ სანჯლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობა ჩატარეს, რომელშიც 39 სპორტსმენი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის წყილებსა და ჯგუფურ ვარჯიშში. დუეტთა პაექრობა 79,50 ქულით გაგნცა ქიქვაძე, ნინო გოდორაძე და ანასტასია ოგანდჯანოვა (წყვილებში სამი სპორტსმენის მონაწილეობა დასაშვებია) მოიგეს (სპორტკომპლექსი „არენა“,

ჯიბსა და თათია მეტრეველს („ნეპტუნი“, მანანა ჩანქსელიანი) ერგო. ჯგუფურში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვანცა ქიქვაძე, ნინო მქუტაძე, ნინო გოდორაძე, სალომე ამბოკაძე, ქეთი კვაშილავა, ანასტასია ოგანჯანოვა (არენა“, 76,95), 2. სალომე არველაძე, ელინა საბედ ამირეჯიბი, თათია მეტრეველი, მარი გუგუშვილი, ანა ზამთარაძე („ნეპტუნი“, 69,54), 3. სალომე ჩიტია, ნინო დოლიძე, ვიკა გაიდაშოვა, მარი აფციაური, ლიზი გვასალია, ნინო ბახტურიძე („არენა“, 63,33 ქულა).

ლაზა დიღია

სურათში: მარცხნიდან – გვანცა ქიქვაძე, ნინო გოდორაძე, ანასტასია ოგანჯანოვა.

პლეი ოვის მონაწილეთა ვინაობა სწოდილია

დბსსრულს უახლოვდება მორაგბეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობს. მე-17 ტურის შემდეგ პლეი ოფენსი მონაწილეთა ვინაობა საბოლოოდ გაირკვა. „ლელო“ „არმაზი“ დამარცხდა 19:18. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სარები“ – „ლოკომოტივი“ 16:22, „ჯიქები“ – „ბათუმი“ 16:10, „ყოჩები“ – „არმაზი“ 3:97, „აკადემია“ – „აია“ 10:74.

ამდენად, პირდაპირ ნახევარფინალში ითამაშებენ საქართველოს ჩემპიონი „არმაზი“ და „ლელო“. მედლებისთვის ასევე იბრძობებენ „აია“, „ჯიქები“, „არმაზი“ და „ლოკომოტივი“. ბოლო ტურის წინ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „არმაზი“ – 70 (+277), „ლელო“ – 66 (+221), „აია“ – 59 (+252), „ჯიქები“ – 48 (+73), „არმაზი“ – 44 (+27), „ლოკომოტივი“ – 38 (+8), „ბათუმი“ – 30 (-40), „სარები“ – 22 (-144), „აკადემია“ – 18 (-338), „ყოჩები“ – 7 (-336).

ვაჟა ნოსირაძე

მხვანე ალტერნატივა

„მოქალაქე მინისტრს“ მიმდევრები დღევანდელ ხელისუფლებასთან გამორჩენილნი

„მარტინისებრი“ ზეობის პერიოდში გარემოს, ბუნებას ისე ექცეოდნენ, ისე კანონებს ქმნიდნენ, თითქოს ფლორა და ფაუნა „ნაციონალიზმის“ დანაშაულები იყოს და არა — ბუნების ძეგლი. ჯერ იგებებოდა რაიმე კონკრეტული ობიექტის მშენებლობა და შემდეგ ხდებოდა ზერეული შესწავლა მისი ბუნებაზე ზემოქმედების რისკფაქტორებისა. ექსპერტთა განმარტებით ამ კუთხით მონაწილე პოლიტიკოსები მინისტრს — გოგა ხაჩიძეს.

მაგრამ უარი მიიღო, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ შარაშიძე განმარტავს, ნარმოდგენილი პროექტი დერივაციულია, ე. ი. მდინარე ბროლისწყალი მთლიანად მიღებული მოქცევა. მშენებლობის განმახორციელებლის მიერ ნარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დებულებებს არ უპასუხებს. იყო ჩანაწერები, რომ მშენებლობის დაწყებამდე მოხდებოდა გარკვეული მიმართულებების შესწავლა, რაც დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაუშვებლად მიაჩნია. მისი მტკიცებით, ჯერ უნდა მოხდეს შესწავლა, დადგინდეს გარემოზე ზემოქმედება და ამის შემდეგ განისაზღვროს ღონისძიებები, რომლებიც ამ ზემოქმედებებს მინიმუმამდე შეამცირებს. ყოველივედან გამომდინარე, ექსპერტების დასკვნის გაცემა შეუძლებელი გახდა.

წინა ხელისუფლების ახირება

ხდოს ხეობაში, ყაზბეგში, მდინარე ბროლისწყალზე ჰესის მშენებლობა სააკაშვილის ხელისუფლების ახირება იყო. იგეგმებოდა მრავალფეროვანი ჰესის მშენებლობა, რაც საქართველოს ენერჯეტიკის დიდი ვერაფრის მომცემი იქნებოდა. სამაგიეროდ, აშენების შემთხვევაში უაღრესად ნეგატიური გავლენას იქონიებდა გარემოზე — აცხადებს ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში „გრინფისის“ მხარდამჭერი ჯგუფის თავმჯდომარე ლაშა ჩხარტიშვილი და იქვე დასძენს, რომ სამსახურად, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი წინასმკვამლად იგივე შემართებითა და ინტენსივობით აგრძელებს მუშაობას. „ყაზბეგის“ მშენებლობის დაწყებისათვის ინვესტიორმა ნებართვის მისაღებად გარემოს დაცვის სამინისტროს მიაკითხა.

დასკვნაში ნარმოდგენილია მოთხოვნები, რომელთა შესრულება აუცილებელია მათ ვადებში სამუშაოთა მწარმოებელი შეზღუდული არ არის. მან უნდა დაადგინოს რისკ-ფაქტორები გარემოს კომპონენტებზე და შემდეგ თავად გადაწყვიტოს, უღირს თუ არა ამ ტერიტორიაზე ჰესის აშენება. შეიქმნება ახალი დოკუმენტი, რომელსაც სამუშაოთა მწარმოებელი წარადგენს გარემოს დაცვის სამინისტროში, მას ექსპერტები განიხილვენ და შესაბამის დასკვნებს გასცემენ — აღნიშნა შარაშიძემ.


„ნაცივალ“ მორგებული კანონმდებლობა გადასახადები

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივაში“ (თავრე ნინო ჩხობაძე), პრემიერის სპეციალური წერილით მიმართა, სადაც პიდროენერგეტიკული პროექტების განვითარებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო კონკრეტულ ცვლილებებს სთავაზობს. გარდა ამისა, პრემიერს იმის შესახებაც წერენ, რომ ახალი სამთავრობო გუნდის ზოგიერთი წევრი განაგრძობს წინა ხელისუფლების გზით სიარულს და უარს არ ამბობს გარემოს დაცვითი კანონმდებლობის უფლებდროშით ინიცირებულ პროექტებზე, რისი მიზნებიც შეიძლება იყოს მათი პოლიტიკური გამოუცდელობა, ან გარკვეულ ინტერესთა კონფლიქტები — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილისადმი გაგზავნილ „მწვანე ალტერნატივის“ განცხადებაში.

ზაზა ბილისოძე

გაცხადება

გიორგი გუჯაბიძე



დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ გეოლოგს და ახალგაზრდა თაობის გულისხმიერ აღმზრდელს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის) გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის ყოფილ დოცენტს გიორგი კონსტანტინეს ძე გუჯაბიძეს.

გ. გუჯაბიძე დაიბადა 1912 წ. 18 აპრილს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ხორეთში. სოფ. ჩოჩხათის არასრული საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო აჭარის სუბტროპიკულ ტექნიკუმში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოფ. მამათის სკოლაში აგრომასწავლებლად, ხოლო 1932-1935 წ.წ. — სოფ. ნინოშვილის სკოლის დირექტორად. 1935-1940 წ.წ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეოლოგიის სპეციალობით. 1940-45 წ.წ. მუშაობდა საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში გეოლოგიის თანამდებობაზე. 1945 წ.-დან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრაზე თავდაპირველად უფროსი ლაბორანტის, მოგვიანებით ასისტენტის, ხოლო 1958 წ.-დან დოცენტის თანამდებობაზე. 1955 წ. დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეც. კანდიდატის წოდება.

გ. გუჯაბიძის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო ძირითადად საქართველოს ნეოგენური ნალექების სტრატиграფიით და შესაბამისი ასაკის განამარხებული ორგანიზმების შესწავლით შემოიფარგლებოდა; იკვლევდა აგრეთვე დედამიწის და მისი ქერქის წარმოშობის და განვითარების საკითხებს, გეოსფეროებში მიმდინარე პროცესებს. გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელო „ზოგადი გეოლოგიის“ კურსში და 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი. ბატონი გიორგის სტიქია მაინც პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ, რასაც თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვნა. იგი ჭეშმარიტი პედაგოგი იყო — ჩუმი, თავმდაბალი, ფუტკარივით მშრომელი, თავისი საქმის ჩინებული მცოდნე, გულისხმიერი, ნიჭისა და ენერჯის უშურველი მხარჯველი, ახალგაზრდობის მოყვარული და მისი დამფასებელი. ამავე დროს მეტად პრინციპული და შეუვალი იყო, როცა საქმე ჭეშმარიტების დადგენას, პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებას ეხებოდა. საინტერესო და თვალსაზრისი იყო მისი ლექციები — თხრობის დინჯი, ლამაზადრული მანერა და თავანკარა ქართული საუბარი უხვად იყო შეზავებული ფაქტობრივი მასალით და მდიდარი გამოცდილებით.

ბ-ნ გიორგის გამორჩეულად და განსაკუთრებულად უყვარდა ახალგაზრდობა. როგორც გამზრდელი თავის პირმშოს, ისე ეფერებოდა, წერდებოდა და ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად ამზადებდა მას. აკი სულიერ საზრდოდ და ცხოვრების საგზაოდ გააძევა ამ კეთილშობილი პიროვნების ამაგი და მაღლი ათასობით მის სტუდენტს. სავესებით დარწმუნებული ვართ, რომ აღმზრდელის ნათელი სახე დიდხანს იცოცხლებს მაღლიერი შთამომავლების სსოვნაში.

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მარტინ მებრეველი

ჩემო საყვარელო ძმავო, გილოცავ დაბადების დღეს. 3 აპრილი ხომ შენი დაბადების დღეა. 16 წლის უნახავო ძმავო, ვაი, რომ ამ დღეებში ვერ შეანელა ის დიდი ტკივილი, რომელიც უშენობითაა გამოწვეული. ამ დიდ ტკივილს კიდევ ერთი დიდი ტკივილი დაემატა. მამის და დედის შენთან წამოსვლა, რამაც მთლიანად გამანადგურა. მაგრამ მასულდგმულებს ის, რომ იზრდება დავით მეტრეველისა და მარიამ რეხვიაშვილის მონაგარი. შენ, ჩემო ძმავო, სამი შვილიშვილის ბაბუა ხარ, მე კი ორი შვილი მოყვანა, შენი მეუღლე ირინა ჯაფარიძე უძღვევია შენს ოჯახს. მარტინ, იცოდე, რომ ძალიან კარგი მონაგარი გახავს. აი ისეთი, შენ რომ გეკადრება და შენ რომ გაგიხარდება. 3 აპრილს მოვალთ ყველა შენს საფლავთან და აგინებთ სანთლებს, ვილოცებთ, რომ სასუფეველში იყოს თქვენი სულები.

შენი და ნინო მებრეველი

წიგნის თარო

ეკლენა უთამოავლობას

წიგნი იმ ვერს, ვისაც მხნე დედაკაცები ჰყავსო — ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. ციხელა ხაბაძის წიგნი ახალი მხნე ქალბატონია, რომელმაც შეძლო ყველა ტყვეობის საკუთარ გონებაში გადასარწმუნა. თუმცა, ცხოვრებით გადამდიდდა, მაინც ის ბავშვური, წრფელი გული შერჩა ბოლომდე, რომელიც ჯამიდან ჯამს არ ასვენებდა და... ნიჭიერი ქალბატონის ხელში გათამამებული კალამი თანამედროვე ცხოვრების ამბავს მოვლენას თავისებურად ასახავდა.

მშვენიერმა, განათლებულმა ახალგაზრდა ქალმა თავისი კარიერა ოჯახს ანაცვალა — დედობის პასუხისმგებლობამ ყველაფერს აჯობა. საყვარელი მეუღლე სახელმწიფო მოღვაწედ იქცა. მათი ხმა-მაღალი სიტყვა არავის გაუგონია. ქართული სიღარბისლით აღსავსე ციხელა ხაბაძის სასახელო ქალ-ვაჟი აღუზარდა სამშობლოს, რადგან იცოდა, რომ ძლიერი ოჯახი სამშობლოს ძლიერი საყრდენია... მათ ოჯახში იკრიბებოდნენ ცნობილი ადამიანები და სახელმწიფო პრობლემებზე საუბრობდნენ. შემდგომში მან, როგორც პედაგოგმა, მრავალი ღირსეული თაობა აღუზარდა სამშობლოს.



არასდროს უფიქრია წიგნის გამოცემაზე. მით უმეტეს, რომ სოფელში, მათ სახლში მოულოდნელად გაჩენილმა ხანძარმა მისი ხელნაწერები შთანთქა. რაც დარჩა, ის ახლა თქვენს ხელთაა, მკითხველო!

წიგნში შესული თავებიდან — „წერილები“, „შვილი“

ლია ჭილაძე

წიგნის აბრიკატურა. უფროსო, ქმარი დამეკარგა, ორი კვირაა არ გამოჩენილა. — დანერდით, რომ ვიპოვო, რა გადავცეთ? — გადავცით, ნუღარ ეშინია, დედაჩემი აღარ ჩამოდის. აზირან მრამის ნახატია.

ინფორმაცია. სარჯის საბაჟო თურქეთის მოქალაქის მარისუნა აღმოჩინეს სარჯის საბაჟო გამშვებ პუნქტზე, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2,8 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება, მარისუნა აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 2013 წლის 2 აპრილს დაახლოებით დილის ორ საათზე, სარჯის საბაჟო გამშვებ პუნქტის გავლით, საქართველოში თურქეთიდან თურქეთის მოქალაქე ი. ფ. შემოვიდა, რომელსაც პირადი დათვალიერების შედეგად ჯიბეში, სიგარეტის კოლოფში ნარკოტიკული საშუალება, მარისუნა უპოვეს. შემდგომი რეაგირების მიზნით, საქმის მასალები კრიმინალურ პოლიციას გადაეცა. ინტერპრესი

ჩვენი კარავალინი

ბაჩნაძე პრობლემები სისხლძარღვებთან დაკავშირებით? დიაგნოსტიკურული არტროზი? დაუყოვნებლივ დაინწყეთ მკურნალობა, მხოლოდ ასე შეიძლება ავიცილოთ თავიდან გართულებები!

მომხდები აპოკალიფსია

იმ დაავადებათა სამწესარო სიაში, რომლებსაც მივყავართ ინვალიდობასთან, არტროზს ჩვენ ქვეყანაში მეორე ადგილი უკავია, მის წინ მხოლოდ გულ-სისხლძარღვითა და სუნთქვითა დასაჯარებით მიმდინარე ვითარებაა, თუ დაავადება აზიანებს საფრენ სახსრებს - მუხლის ან მენჯ-ბარძაყისა. არის ძლიერი ტკივილი, მოძრაობის შეზღუდვა, შემდეგ კი - ნაბიჯის გადადგმის უუნარობა? - წამოდექით ლოკალიზირებულად. რჩება მხოლოდ ერთი იმედი - ენდოპროთეზირება, საკუთარი დანერგული სახსრების შეცვლა ხელოვნურით. მაგრამ ეს შესაძლებლობაა, ვი რომ, ყველას არ გააჩნია. ენდოპროთეზირება - სრულფასოვანი

გვრძობს ნახევარი საათის განმავლობაში - მხოლოდ უნდა მოეშვა. დაავადების დასაწყისში შეიძლება შეინიშნებოდეს ტკივილიც, თუმცა ჯერ არცთუ ძლიერი, ხანმოკლე, ფიზიკური დატვირთვის დროს ან დღის ბოლოს. თუ შევძლებთ, „გამოვიჭიროთ“ არტროზი ამ ეტაპზე, იმის შანსი, რომ დარჩეს აქტიური - ადამიანს აქვს დიდი.

მომხდები კომპლექსური თანამდროვე მდგომარეობის შემდგომი განვითარების პროფილაქტიკის რამდენიმე ხერხს გვთავაზობს. ყველა მათგანი გვეხმარება მოახდინოთ მდგომარეობის სტაბილიზაცია, შევანლოთ ხრტილის ნგრევა და, შეიძლება, შევწყვიტოთ კიდევ იგი.

ზედმეტი წონა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც არტროზის პროვოცირებას იწვევს. თუ სერი უკვე დიაგნოსტიკურად აღინიშნება, სიმსუქნე უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს დაავადების პროგნოზზე, ძალიან აჩქარებს ხრტილის ქსოვილის ნგრევას. შეეცადეთ გახდეთ. ამისთვის შეამციროთ რაციონში ცხიმოვანი საკვებისა და ტკბილეულის ოდენობა. მენიუში ჩართეთ რაციონში შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული, მარცვლეული პროდუქტები, ბურღული, თევზი. ხრტილის კვებისთვის აუცილებელია გოგირდი, იგი მონაწილეობს შემადგენელი ქსოვილის აგებაში. „ამონიურეთ“ იგი ბარდიდან, ხახვიდან, ნივრიდან, კომბოსტოდან.

● მივიღოთ კურორტზე. არტროზით დაავადებული ბევრი ადამიანისთვის სასარგებლოა სანატორიულ-სპორტულ მკურნალობა. ასეთი ადგილები საკმაოდ მრავლადაა. დამატებით შეიძლება გავიაროთ მასაჟის კურსი, იგი ისევე, როგორც ტანვარჯიში, გვეხმარება თავიდან მოვიშოროთ კუნთოვანი სპაზმს და აუმჯობესებს სახსრების სისხლის მიმოქცევას. მრავალ შემთხვევაში ის აუმჯობესებს ნეშტორეგულაციას.

მისდევეთ თქვენს ჯანმრთელობას, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ სრულად დატკბეთ მოძრაობის სიხარულითა და კმაყოფილებით.

რისი ბაპითაა არ შეიძლება?

● იმის იმედის ქონა, რომ არტროზი შეიძლება განვკურნოთ ყოველგვარი სველსაფენებით, კომპრესებებით, მტკივნეულ ადგილზე ოროვანდის და კომბოსტოს ფურცლის მიდებით. ზოგიერთმა ხალხურმა მეთოდმა შეიძლება დროებით შეამციროს ტკივილი, მაგრამ ისინი არანაირ გავლენას არ ახდენენ ხრტილის ქსოვილში ნივთიერების ცვლილებაზე და, მაშასადამე, ხრტილის ნგრევა მიდის თავისი რიგით, ადამიანი კი კარგავს ძვირფას დროს.

● მეზობლის რჩევით აფთიაქში ტკივილგამაყუჩებელი საცხის ყიდვა. მართალია, დღეისთვის საცხები ძალიან ბევრია, მათი უმრავლესობის შემადგენლობა დაახლოებით ერთნაირია. მათ აქვთ გათბობის ეფექტი და ოდნავ ამცირებენ ტკივილსაც. მაგრამ ხრტილის მდგომარეობაზე ისინი გავლენას არ ახდენენ და თანაც აქვთ უამრავი თანმდევი ეფექტები. ხანდაზმული ადამიანისთვის, რომელსაც ჩვეულებრივად აქვს მთელი რიგი თანმშლები დაავადებანი, ეს შეიძლება, უბრალოდ, იყოს სახიფათო.

● დაეხარჯოთ ფული ნებისმიერ საშუალებაზე, რომელთა მხარდობებიც გვეპირდება, რომ ხრტილი მთლიანად აღდგება. ეს წმინდა წყლის შარლატანობაა: დღეისთვის არ არსებობს წამალი, რომელსაც შეუძლია ხრტილის ქსოვილის დაზარალების ჯანსაღი მდგომარეობა. შეიძლება მხოლოდ მდგომარეობის სტაბილიზება იმ ეტაპზე, რომელზეც იგი იმყოფება.

ჩვენი პრესლაიფსტი

გაქმნეთ გზისკენი



„კარგს რომ არაფერს უნდა ველოდოთ, ეს ვიცი“

„19 აპრილს პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში რადიკალურად შეიცვლება“ - ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა ბაღდათში სტუმრობისას განაცხადა, სადაც ადგილობრივებს „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატები წარუდგინა. მერაბიშვილის განცხადებით, 19 აპრილს აქციაზე მოსულ მოსახლეობას ბევრი სიახლე ელოდება, 19 აპრილი იქნება სიახლეებისა და სიურპრიზების მომტანი, პოლიტიკური სიტუაცია 19 აპრილს რადიკალურად შეიცვლება. „ნაციონალური მოძრაობის“ საკმაოდ მდიდარი ფანტაზია აქვს და ამასთან დაკავშირებით წინასწარი მსჯელობა ძნელია, მაგრამ კარგს რომ არაფერს უნდა ველოდოთ, ეს ვიცი, - ამბობს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე.

„ალია“

„მისხითელი თურქების ჩამოსახლება საბარტველს დახმარებს“

– მიხარია აკადემიკოს ელიზბარ ჯაფელიძეს, - მე არ ვამბობ, რომ არავინ არ უნდა დაბრუნდეს, მაგრამ დაუშვებელია მათი ერთ რეგიონში ჩასახლება, რადგან ისინი ითხოვენ მეჩეთებისა და თურქული სკოლების გახსნას. განსაკუთრებით სახიფათო იქნება თუ მათ მესხეთ-ჯავახეთში, თურქეთის საზღვართან ჩავსახლებთ. ეს ახალ პრობლემებს გააჩენს. ამ ხალხის დაბრუნება თავის თავზე აიღეს სააკაშვილმა და შევარდნაძემ და ახლა ეს საკითხი ბიძინა ივანიშვილისთვის გახდა პრობლემა.

„ახალი თაობა“


125-ლარიანი პენსია რიგით პენსიონერებს 18 დღე ემყოფება

ასაბჰის პენსიონერებისთვის პენსიის 125 ლარამდე გაზრდა ერთ-ერთ მხრივ, დადებით ნაბიჯია, თუმცა, ისმის კითხვა, რამდენ დღეს მოახერხებს თავის გატანას 125-ლარიანი პენსიით ერთი რიგითი პენსიონერი? „ბიზნეს-რეზონანსი“ მიახლოებით მათემატიკური გათვლებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს თანხა თვრამეტი დღისთვის არის საკმარისი. იმისთვის, რომ ადამიანმა იარსებოს, ყოველდღიურ რაციონში უნდა ჰქონდეს პური, შაქარი და ცხიმო. ერთ პენსიონერს დღეში ერთი პური სჭირდება, რაშიც თვეში 18 ლარის გადახდა მოუწევს, ერთი ადამიანი თვეში, საშუალოდ, 2 ბოთლ ზეთს მოიხმარს, ზეთი 3,5 ლარი ღირს, ანუ ცხიმის ამ სახეობაში პენსიაში ერთი თვეში 7 ლარს დახარჯავს. რაც შეეხება შაქარს, კვირაში ერთი კილოგრამი შაქარი ერთი ადამიანისთვის საკმარისია, თვეში კი შაქარზე სულ რაღაც 6 ლარის გადახდა მოუწევს. საერთო ჯამში ერთ რიგით პენსიონერს პური, ცხიმისა (ზეთი) და შაქარში თვეში 21 ლარი სჭირდება. აღარაფერს ვამბობთ იმ პროდუქტებზე, რაც ადამიანს არსებობისთვის უნდა. რა უნდა ქნას ამ ხალხმა?!

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



თავისით არ გაივლის რაბომ უნდა ვუპურნალოთ არტროზს აუსილბლად

ოპერაციაა, რომელსაც აქვს საპირისპირო მაჩვენებლები. მათ განკუთვნილია გულის მიმდებარე დაავადებანი, სიმსუქნე, ძვლის ქსოვილის სიმკვრივის ძლიერი დაქვეითება - პრობლემები, რომლებსაც უფროს ასაკში, როდესაც ძირითადად ვითარდება არტროზი, ბევრი გადაყრება ხდება.



ექიმირევატოლოგები აფიქსირებენ: დღეისთვის არტროზი ხანდაზმული ადამიანების აქტიურობის შეზღუდვის უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე დიაბეტი, ჰიპერტონია და სიბრძავეც კი. და მსუხარებით უმატებენ: ამაში ძალიან ხშირად დამნაშავენი თავად პაციენტები არიან. მათი უმრავლესობა მიდის ექიმთან, როდესაც სახსარი თითქმის მთლიანად დანგრეულია და ტკივილი აუტანელი. ჩვენთვის მეტად ტიპურია ის, რომ „მოვითმენთ“. „ამტკივდება და გამივლის“, „თავად შესორცდება“ - ხშირად გვესმის ამგვარი ფრაზები ნაცნობებისგან. ვაი რომ, არტროზი თავისით არასოდეს გაივლის, სახსარი კი ამ დაავადების დროს არ აღდგება. არტროზის პერიოდში დრო სულაც არაა პაციენტის მხარეზე და, თუ არ ვუპურნალოთ, იგი დღითი დღე მხოლოდ უარესდება.

● ვლებლობთ წამლებს. როდესაც არტროზის დიაგნოსტიკას ახდენს, ექიმი აუცილებლად გირჩევთ მიიღოთ ქონდროპროტექტორები. ეს პრეპარატები ფართო სამედიცინო პრაქტიკაში შემოვიდა არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მაგრამ უკვე გახდა თერაპიის მნიშვნელოვანი ნაწილი. არტროზის დროს ნგრევის პროცესები ხრტილის ქსოვილში სტაბილიზაციას უწყობს. პონდროპროტექტორების მოქმედი ნივთიერებანი - ჰონდროიტინი სულფატი და გლუკოზამინი - როდესაც ორგანიზმში ხვდებიან, ხრტილის რეგენერაციის სტიმულს ახდენენ. და თუმცა, მისი სრულად აღდგენა არ შეუძლია, ნგრევა საგრძნობლად ნელდება. ასეთი პრეპარატები ასევე ეხმარებიან ხრტილის შეინარჩუნოს სინესტე, ქმნიან მას უფრო მყარ და ელასტიურს, ამცირებენ ანთებას.

● ვასრულებთ ვარჯიშებს. ხრტილი რომ უფრო ნელა ინგრეოდეს, მან უნდა მიიღოს მისთვის აუცილებელი საკვები ნივთიერებანი. ამისთვის უნდა გავაუმჯობესოთ მისი სისხლით მომარაგება. ამაში გვეხმარება ტანვარჯიშის სპეციალური კომპლექსები. სხვათა შორის, ისინი ასევე გვეხმარებიან მოვხსნათ კუნთების სპაზმი, რაც ხშირად არტროზის ფონზე ვითარდება, და ეს ამცირებს ტკივილს. ასე რომ, ნუ იზარმაცებთ და ნუ ეძებთ მიზეზებს, ყოველდღე შეასრულეთ ვარჯიშები, რომლებსაც ექიმი გირჩევს. ინწყებენ ჩვეულებრივად 10-15 წუთით, თანდათან ზრდიან ვარჯიშის ხანგრძლივობას თითქმის ერთ საათამდე.

● თვალყურს ვადევნებთ რაციონს.

ტკივილი კი არა, შვებოკილიც

მიიღს უნდა მივმართოთ დაავადების პირველივე ნიშნების დროს. ხშირად ეს ტკივილიც არაა, არამედ არის შეზღუდულობის შეგრძნება სახსრებში, განსაკუთრებით დილაობით, გაღვიძების შემდეგ. დისკომფორტს

ანაკლოტავი

ძმბარი კროსგორდს ხსნის და ცოლს ეკითხება: - პირველი მამაკაცი, ხუთი ასო... და მიიღო მოულოდნელი პასუხი. - შალვა. \* \* \* - შინ ჩემი ოცნების ქალიშვილი ხარ: ლამაზი, მხიარული... - ჩემთან გინდა დაწოლა, არა? - და ჭკვიანიცი!

- ძაბო, ტყუილად რად იკლავ თავს ამ კულინარიული ტექნიკადაცემების ყურებით? შენ ხომ ნორმალურად მაინც ვერ ამზადებ სადილს? - მაშ შენ რად უყურებ გამუდმებით პორნოგრაფიებს?

- ქმირფასო, - ეუბნება ქმარი ცოლს, - ჩვენ არასოდეს არ ვისეხებთ ფულს. სანამ შენი ქმარი ვარ, გადავჭრი ჩვენს ყველა ფინანსურ პრობლემას, თუნდაც საამისოდ მეორე ადგილზე მოგიწიოს მუშაობა!

საქართველოს რესპუბლიკის გამოცემები: შპს „თანაღმობა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემები“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) ua(უა კ)070 4(479.22) ს-323 ISSN 2233-3651 მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკაძე 514 33-33-24